

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

№ 115 (5716)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




## ნუ დავუნგრევთ მოზარდებს სულში ტაძრებს!..

სკოლებში „სიყვარულის ანა-ბანას“ ასწავლიან?

2

## მათხოვართა ქვეყანა – ბიზნესკლიმატის ოაზისში

აი, მართლაც ბედის ირონია: გუშინდელ „მტერს“ – კირკიტაძეს გამარჯვებას ვუსურვებ, რადგან ის მიშას გუნდში, შედარებით ქართულ გუნდში, მოიაზრება

5



„იწურება კოკოითის პრეზიდენტობის ვადა და ჩვენ საბოლოოდ გადავჭრით ყველა პრობლემას რამდენიმე თვის განმავლობაში, ვუჩვენებთ მთელ მსოფლიოს, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეროვნებათშორისი კონფლიქტები“

## სააკაშვილის დაპირებები ცხინვალში სამხედრო მუქარად აღიქვეს

10



## ახალგაზრდა ტირანის პორტრეტი

9




დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა ცნობილი ისტორიკოსის საიმონ სიბაგ მონთეფიორის წიგნი „ახალგაზრდა სტალინი“, რომელიც ახალ დოკუმენტებს ეფუძნება. ავტორმა ისინი თითქოს საქართველოს სახელმწიფო არქივში აღმოაჩინა.

# ახალი ომის დაწყებისთვის ნოყიერი ნიადაგი მზად არის!

6–7

## უმრავლესობა არხეინადაა – ოპოზიციური სპექტრი „ცისარტყელად“ ვერ შეიკვრება

3

ასე მეორედ მოსვლამდეც ვერ გაერთიანდებიან

## ყველაფერი „ვარდების რევოლუციიდან“ არ დაწყებულა

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე პარტიები მიმართავენ საქართველოს მოსახლეობას, გაერთიანებული ძალებით აღუდგნენ წინ ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმისა და ეზოს განადგურებას

## გადაუხდის თუ არა ვინმე პარაკლისს?

13

ეს, უპირველესად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების თავკაცებს ეხებათ, იმ გუნდისა, რომელმაც საბედისწერო დღიდან გასულ მცირე პერიოდში კიდევ ორი შესარჩევი მატჩის წაგება მოასწრო, თუმცა ახალკაცი და ტოპმიოლერი მაინც ჯიუტად გაიძახიან, სწორი გზით მივდივართო

# სახელმწიფო

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი გვასწავლის, რომ „დუმილით გაიცემა ღმერთი“. მართალია, დუმილი ოქროა, მაგრამ, როცა ერისა და ქვეყნის ბედი საფრთხეშია, მას ჩალის ფასი აქვს!



კანონმდებლები

## ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ რეპრესიული პოლიტიკა გატარდება

**გუშინ პარლამენტში ნარკორეალიზატორებისა და მომხმარებლების მიმართ ფულადი ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევის შესახებ კანონპროექტის განხილვა დაიწყო, იგი გენერალური პროკურორის მოადგილემ ნიკა გვარამიამ წარმოადგინა. კანონპროექტით გათვალისწინებულია ამ კატეგორიის ადამიანების მიმართ სანქციების გამკაცრება, მათთვის სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის აკრძალვა და სხვა.**



ნარკორეალიზატორების ქონების ჩამორთმევის შესახებ კანონის გამკაცრებას ოპოზიციაც ეთანხმება, თუმცა, მიაჩნია, რომ გასაკეთებელი ამ პრობლემის გადასაჭრელად ბევრად უფრო მეტია. კერძოდ, კახა კუკავას აზრით, ნარკომაფიის ძალიან სერიოზული ძალის არსებობა წარმოუდგენელია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების გარეშე, რომლებსაც, დეპუტატის ვარაუდით, ზოგი თანამდებობის პირი მფარველობს. მან, შედარებისთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა მოიხმო, იქ აკავებენ მთავრობის, პარლამენტის წევრებს, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მეთაურებს, ართმევენ კილოგრამობით ნარკოტიკულ ერთეულს, იარაღს, ბომბავენ ნარკოპლანტაციებს“. მან გენერალური პროკურორის მოადგილეს ასეთი ქმედებისკენ მოუწოდა. „რეპრესიული სასჯელების გამკაცრებას მხარს ვუჭერთ, მაგრამ ეს ყველაფერი არსებითი შედეგების მომტანი მაშინ იქნება, თუკი შინაგან საქმეთა სამინისტროს კარგად ცნობილი „სოდის“, „კუდის“ და ა. შ. დეპარტამენტები მხოლოდ ფონიჭალაში ვინმე ჟენიას კი არ დააკავებს, არამედ დაიწყება რეალური ბრძოლა იმ ჯგუფების წინააღმდეგ, ვინც ეწევა ტრანზიტს, ვინც ამ დიდ, განშტოებულ ქსელს მფარველობს“, — განაცხადა კუკავამ.

ოპოზიცია ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ სანქციების ლიბერალიზებას მოითხოვს. ანუ, მათი თქმით, ადმინისტრაციული სასჯელი უნდა დარჩეს, მაგრამ ჯარიმით ამოღებული თანხა ისევ მომხმარებლის იძულებით მკურნალობას მოხმარდეს, რადგანაც, მათი აზრით, მომხმარებელი ავადმყოფია და არა კრიმინალი.

ჯანდაცვის სამინისტროს პროექტს ნარკომომხმარებლებისათვის ჩანაცვლებითი მკურნალობის შესახებ, რომელიც, როგორც ითქვა, წარმატებით ხორციელდება, უმრავლესობაც და ოპოზიციაც დადებითად აფასებს, თუმცაღა აღნიშნავენ, რომ პროექტის ფინანსური სიმწირის გამო, მკურნალობას მხოლოდ ნარკომანების ძალიან მცირე ნაწილი ახერხებს. დეპუტატები მიიჩნევენ, რომ გარდა რეპრესიული პოლიტიკისა, რომელსაც ანტინარკოტიკული სტრატეგია მოიცავს, აუცილებელია სახელმწიფომ ნარკომომხმარებლების მკურნალობის ფინანსური ვალდებულება აიღოს.

კანონპროექტის მიმართ დეპუტატებს პრინციპული შენიშვნები არა აქვთ. სავარაუდოდ, მას სამივე მოსმენით საგაზაფხულო სესიის დამთავრებამდე მიიღებენ.

**მზია გელენავა**

ლოცვითი მსვლელობა

**განათლების რეფორმით მრავალი ორგანიზაცია და საზოგადოებრიობის უმრავლესობა უკმაყოფილოა. მათ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირიც“ შეუერთდა და განათლების სამინისტროსთან „ანტიმართლმადიდებლური განათლების რეფორმის“ წინააღმდეგ ბრიფინგი გამართა. მას კავშირის წევრები, სამღვდელოების წარმომადგენლები და მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი ესწრებოდა.**

## სკოლებში „სიყვარულის ანა-ბანას“ ასწავლიან?

### ნუ, დავუნგრევთ მოზარდებს სულში ტაძრებს!..

„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ საქართველოს ხელისუფლებასა და განათლების სამინისტროს იდეოლოგიას გმობს და აცხადებს, რომ განათლების რეფორმით მართლმადიდებელთა უფლებები ილახება და სკოლებში მართლმადიდებლობის სწავლება, ჯვრები, ხატები და სალოცავი კუთხეებიც იკრძალება.

კავშირის თანათავმჯდომარემ ავთანდილ უნგიაძემ აღნიშნა, რომ განათლების სამინისტროს ინიციატივითა და ნებართვით, სკოლებში შეიტანეს მოზარდთა გამხრწნელი პორნოგრაფიული წიგნები, მაგალითად, „სიყვარულის ანაბანა“, მანვე ილაპარაკა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში გამოცემული გაზეთის დამატებაზე „სიყვარული და... სექსი“ და განაცხადა, რომ ამგვარი ქმედება მოზარდის ფსიქიკას არღვევს.

„მიუღებელია, როცა საზოგადოებრიობაში, ერში და, განსაკუთრებით, ბავშვებში უხამსობა და გარყვნილება ვრცელდება. ასეთ პოლიტიკას განათლების სამინისტრო ახორციელებს, რომელიც ყოვლად მიუღებელ წიგნებს აგზავნის სკოლებში და თან მასწავლებლებს ემუქრება, თუ არ მიიღებთ, დაგსჯითო. ამის დამადასტურებელი ფაქტები გვაქვს. მიუღებელია მასმედიის საშუალებებით ამ უხამსობისა და ძალადობის ქადაგება“. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართაც პრეტენზია გვაქვს, რომ იგი ჩვენი სარჩელის განხილვას აჭიანურებს. პრეტენზია გვაქვს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიასთანაც, რომელიც ქცევის კოდექსის მიღებას აგვიანებს და საზოგადოებრიობის მოთხოვნებსა და შენიშვნებს არ ითვალისწინებს. ღვთის მოიმედენი ვართ და ღმერთი შეგვეწევა, თუკი მიუღებელს დავგმობთ“, — განაცხადა მან.

აქციამ განათლების სამინისტროდან საკონსტიტუციო სასამართლოსთან გადაინაცვლა. მსვლელობას წინ ხატები და სამღვდელოება მიუძღოდა, ხალხი გალობდა.

საკონსტიტუციო სასამართლოში შესულ კავშირის თანათავმჯდომარესა და სამღვდელოების წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ კავშირის მიერ შეტანილი სარჩელის განხილვა სექტემბრისთვისაა გადადებული.

მსვლელობაში უამრავი ადამიანი მონაწილეობდა. ისინი მდუმარედ მოდიოდნენ და ჩვენს შეკითხვებზე დუმილით გვპასუხობდნენ, ლოცულობდნენ, გალობდნენ და ამით ამბობდნენ სათქმელს.

მსვლელობა პარლამენტთან რამდენიმე წუთით შეჩერდა, შემდეგ კი გეზი კანცელარიისკენ აიღო.



ნუთუ, მავანთა იდეოლოგია ასეთია — საქართველო რწმენის გარეშე?! ეს ხომ ის საქართველოა, რომელსაც უფლის კვართი ჩაუკრავს გულში, რომელსაც უამრავი ტაძარი აუგია და დღესაც აშენებს (ზოგჯერ გვინგრევენ, ისაკუთრებენ, გვეღავებიან, მაგრამ მაინცძ და ჩვენ უნდა შეგვირყვნან სჯული?

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი გვასწავლის, რომ „დუმილით გაიცემა ღმერთი“. მართალია, დუმილი ოქროა, მაგრამ, როცა ერისა და ქვეყნის ბედი საფრთხეშია, მას ჩალის ფასი აქვს! ნუ დავუნგრევთ მოზარდებს სულში ტაძრებს! — აცხადებენ აქციის მონაწილენი.

**მაია ხორგუაშვილი**

პრეზიდენტი



## ღირსების ორდენი ჰამლეტ მოვსესიანს

**პრეზიდენტმა პარლამენტის წევრი, ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი ჰამლეტ მოვსესიანი, ქვეყნის აღმშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის ღირსების ორდენით დააჯილდოვა.**

**ჰამლეტ მოვსესიანს ჯილდოს მიღება კოლეგებმა მიულოცეს. საგანგებო განცხადება ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა გააკეთა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ესეც ხეირია?

## ყველაზე არასტაბილური 60 სახელმწიფოდან საქართველო 58-ე ადგილზეა

**ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს 60 ყველაზე არასტაბილური სახელმწიფოდან საქართველო 58-ე ადგილზეა.**

ამასთან დაკავშირებით რეფორმების კოორდინირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ამის თაობაზე განაცხადა, რომ არასტაბილურობის მიზეზი საქართველოში არსებული ორი კონფლიქტური რეგიონია — სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.

სახელმწიფო მინისტრი მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის 58-ე ადგილიც კარგი მაჩვენებელია. მისივე თქმით, საქართველო არ შეიძლება იყოს სტაბილური, რადგან ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი.

ინტერპრესნიუსი

ჭორი

## ბენდუქიძემ ურჩია, პანღური ამოჰკარით და ისე გააგდეთო

**რეფორმების კოორდინირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე იდიოტის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას უწოდებს პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას, რომ, შესაძლოა, კახეთში ვაზზე მოსაკრებელი დაწესდეს.**

მან განაცხადა, რომ მსგავსი რამ საერთოდ არ განიხილება.

სახელმწიფო მინისტრმა კახელ გლეხებს ურჩია, თუ ვინმე მათთან ასეთი წინადადებით მივა, „პანღური ამოარტყან და გააგდონ“.

გუშინ მასმედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, კახეთში გლეხებს თითო ძირ ვაზზე 10-10 თეთრის გადასახადი დაუწესონ.

ინტერპრესნიუსი

შემთხვევა

## სასაზღვრო პოლიცია ოფიციალურ განცხადებას აქვეყნებს

**საქართველოს სასაზღვრო პოლიცია განმარტავს, რომ 15 ივნისს „წითელ ხიდზე“, სახელმწიფოს საზღვარზე, „მერსედესის“ მარკის ავტომანქანას აზერბაიჯანიდან სხვადასხვა სახის ლითონის ჯართი შემოჰქონდა. მანქანას საქართველოს მოქალაქე მართავდა. მას ტვირთის კანონიერების დამადასტურებელი ყველა საბუთი ჰქონდა. ერთ მილაკზე რადიაციული ფონი დაფიქსირდა. მსგავს მილაკებს ჭაბურღილებისათვის იყენებენ.**

— მომხდართან დაკავშირებით, სასაზღვრო პოლიციამ შსს-ს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს აცნობა, საიდანაც „წითელ ხიდზე“ სპეციალისტები იქნენ მივლენილნი. მათ შეისწავლეს „მილაკზე“ არსებული რადიაციული ფონი, სამი უწყების სპეციალისტთა ერთობლივი აქტის საფუძველზე, ჯართის უკან გაბრუნება გადაწყდა.



აღნიშნულის შესახებ აზერბაიჯანელ კოლეგებს ეცნობა, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პრეს-სამსახურმა გაავრცელა.

ჯი-ეიჩ-ენი

# ქვეყანა

• უმრავლესობაც არხეინადაა. დარწმუნებულია, რომ ასეთი ოპოზიციური სპექტრი „ცისარტყელად“ ვერ შეიკვრება, საცა ყველას თავ-თავისი ფერი ექნება შენარჩუნებული, მაგრამ ერთი მიზნის მისაღწევად კი იქნება გაერთიანებული. ალბათ, ამ არხეინობაზე უარესი შეფასება ოპოზიციისათვის ალარც გამოინახება



◉ გედი, კიბორჩხალა და ქარიყლაპია

# უმრავლესობა არხეინადაა — ოპოზიციური სპექტრი „ცისარტყელად“ ვერ შეიკვრება

## ასე მეორედ მოსვლამდეც ვერ გაერთიანდებიან

**ოპოზიცია, ზოგადად, საწინააღმდეგოს ნიშნავს. პოლიტიკური ოპოზიცია, შესაბამისად, ქვეყნის მმართველობის სახელმწიფო-პოლიტიკურ კურსს უდგას კრიჭაში. მერედა, რამდენნაირად შეიძლება იყოს ეს? მემარჯვენეულად, კონსერვატიულად, მრეწველურად, ლეიბორისტულად, ხალხის პარტიულად, ქართულ დასურად, რესპუბლიკურად, საქართველოს მზისეულად, თავისუფლებისეულად... ანუ, საქართველოში რეგისტრირებული 160-ზე მეტი პარტიისა თუ მოძრაობა-გაერთიანებისეულად?**

რაკი ასე დანაწილიკებულან, იგულისხმება, რომ წინააღმდეგობაც არსობლივად განსხვავებული აქვთ — ოპოზიცია სულაც არა გვყავს ერთგვაროვანი, უსახური ყოველი მათგანი ერთადერთი და განუმეორებელია და სწორედ ამ „ერთადერთობისა“ და „განუმეორებლობის“ პოზიციიდან უტევს კიდეც ოფიციოზს.

სხვაგვარად რომ იყოს — ძირითადში ემთხვეოდეს, ან „მონათესავე“ მაინც იყოს ამ პარტია-მოძრაობა-გაერთიანებათა ოპოზიციონერობა, მაშინ ხომ რიგში დგომა მოუწევდათ ოფიციოზის სახელმწიფო მმართველობის „ფარღალალის“ ყოველ ღრიჭო-ღიობ-ჭუჭრუტანასთან და, შესაძლოა, ჩხუბიც მოსვლოდათ, არა მე ამოვავსე, არა მეო. ასე კი — ცალ-ცალკე „ორიგინალურნი“ არიან და, „ინდივიდუალობის“ დაკარგვის შიშით, ინდივიდუალურად „აკვდებიან“ ხელისუფლებას. რაღა თქმა უნდა, ქვეყნისა და ხალხის ინტერესების გამო.

ალბათ, მართლაც ბრძენთა ხმობა დასჭირდათ, რათა ყოველი პარტია-მოძრაობის, სანუკვარი მიზნის — ერთიანი, განუყოფელი, ძლიერი, თავისუფალი, მართლმადიდებელი საქართველოს ასაშენებლად იმდენად განსხვავებული ხერხები, მეთოდები და გზები გამოეჩიჩქნათ, რომ ვერა და ვერ შეთანხმებულან, აღმშენებლობის პირველი ბარი როგორ ჩაჰკრან. აგერ, მოუწოდა კობა დავითაშვილმა ყველა ოპოზიციურ ძალას გაერთიანებისკენ. თითქოს, გონივრულადაც განსაჯა — გამოკითხოთ ხალხს და, ვინც ყველაზე რეიტინგული აღმოჩნდება, ის გახდეს გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი, პარტიებისა თუ მოძრაობების ადგილებიც ამის მიხედვით განაწილდესო.

მერედა, რაო ოპოზიციამ? რაო და, ჯერ ფორმა დაუწუნეს, დეკლარირების დონეზე ასეთი რამე-რუმეები არა წყდებაო. მერე კიდევ, კობამ თავისი პარტია ვერ იგუა და სხვებს როგორღა გააერთიანებსო (ეს გამოკვეთილად საპარლამენტო ოპოზიციონერმა ქალბატონმა ბრძანა, თავად რომ ბარე 5 პარტია მაინც აქვს გამოცვლილი), კი, კარგი იქნება, მაგრამ აქედან მაინც არა გამოვა რაო. აშკარა ცინიზმიც იყო.

ოპოზიციამ რომ თავად გააბიაბრუა გაერთიანების იდეა, პოზიცია რაღას იზამდა? მაგრამ, რაკი ოპოზიციამვე აიგდო მასხარად გაერთიანების შესაძლებლობაც კი, უმრავლესობას თავის გამოსადებად რაღა რჯიდა?

არ უნდა ოპოზიციას გაერთიანება, თორემ პარტიიდან გასვლა რა არგუმენტია? ჩერჩილი ბარე ორჯერ გახდა ლეიბორისტი და მერე კვლავ გაკონსერვატორდა. ბრიტანელები კი მაინც ამბობენ, ასეთი პრემიერი ჩვენს ქვეყანას არა ღირსებიაო.

აზრის, პარტიის შეცვლა, თუ ეს სინდისითაა ნაკარნახევი, ანუ ქვეყნის სასიკეთოდაა მიმართული, რა საძრახისია (ამას ზოგადად ვამბობ და არა მაინცდამაინც კობა დავითაშვილზე)? იყო სავლე, ქრისტიანთა მდევნელი და მოციქულთაგან ერთ-ერთ უპირველეს პავლედ გარდაიქმნა. ისტორიამ, განა, ცოტა სხვა მაგალითი იცის, როცა მავანი ბოროტს — ამპარტავნებას, ეგოიზმს განდგომია და მამულისათვის შეუწირავს თავი?

ჩვენი ოპოზიცია კი, ძირითადად, ეჩოსავით თავისკენ ითლის. საპარლამენტოს ხომ დროებით თავი ისედაც ქუდში აქვს. პარლამენტსმიღმელთაც ერთი — ხელისუფლებაში აფოფხების ჟია ღრღნით. არასგზით დათმობენ პირველობას.

უმრავლესობაც არხეინადაა. დარწმუნებულია, რომ ასეთი ოპოზიციური სპექტრი „ცისარტყელად“ ვერ შეიკვრება, საცა ყველას თავ-თავისი ფერი ექნება შენარჩუნებული, მაგრამ ერთი მიზნის მისაღწევად კი იქნება გაერთიანებული. ალბათ, ამ არხეინობაზე უარესი შეფასება ოპოზიციისათვის ალარც გამოინახება.

ასეთი ოპოზიცია არათუ ნოემბრამდე, მეორედ მოსვლამდესაც რომ ვერ გაერთიანდებოდა, ეს, ალბათ, ბატონმა კობამაც მშვენივრად უწყოდა. ამიტომ ესეც საკითხავია — მისი მოწოდება მამლის პოზიციაა, მე მიყივლიაო, თუ სულაც თავის წარმოჩენის კიდევ ერთი საშუალება?

დაბოლოს, კრილოვის ცნობილი არაკი გამახსენდა გედზე, კიბორჩხალასა და ქარიყლაპიაზე, ყველა თავ-თავისკენ რომ ექაჩებოდა ურემს და ამიტომაც ძვრაც ვერ უქნეს.

**კონსტანტინე გურგენიძე**

◉ სადაა სიმართლე?

# კონსტანტინე გამსახურდია პროკურატურასა და შს სამინისტროს ადანაშაულებს



**ყოველივე დაფარული გაცხადდებაო, გვასწავლის სახარება. აუცილებლად დადგება დრო, როცა გავიგებთ, როგორ დაიღუპა ბატონი ზვიად გამსახურდია. მანამდე კი, მისი ვაჟის, პარტია „თავისუფლების“ ლიდერის კონსტანტინე გამსახურდიას მტკიცებით, პროკურატურა და შს სამინისტრო ყოველნაირად აჭიანურებენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაღუპვის გარემოებათა გამოძიებას.**

ვის არ აძლევს ხელს სიმართლე? კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, იმათ, ვინც დამნაშავეა მამამისის დაღუპვაში. იგი დარწმუნებულია, რომ ზვიად



გამსახურდია მოკლეს და პროკურატურა და შს სამინისტრო ხელს აფარებენ ამ დანაშაულის ორგანიზატორებს და შემსრულებლებს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „თავისუფლების“ ლიდერმა ისიც აღნიშნა, რამდენიმე ოფიციალური მიმართვის მიუხედავად, პროკურატურა და შს სამინისტრო დუმსო.

კონსტანტინე გამსახურდია გაჩერებას არ აპირებს. იგი ამბობს, რომ, დიდი წინააღმდეგობის, იგნორირების მიუხედავად, ბოლომდე მიიყვანს საქმეს.

სახელდობრ, რას აპირებს ის?

ჟურნალისტურ გამოძიებას განაგრძობს. კონკრეტულად, რას და როგორ იძმს, არ აზუსტებს. მაგრამ დარწმუნებულია, რომ თავისას მიაღწევს და დამნაშავეებს სამზეოზე გამოიყვანს.

**ეკატერინე ხატიაშვილი**

◉ არდავიწყება მოყმისა...

# საპროტესტო აქცია მერაბ კოსტავას ეზოში

## ყველაფერი „ვარდების რევოლუციიდან“ არ დაწყებულა

**საქართველოს ხელისუფლება ეროვნული მოძრაობის ყოველგვარი კვალის წაშლას ცდილობს და უნდა ხალხს ჩაუნერგოს რწმენა, რომ საქართველოს ისტორია 2003 წ. 23 ნოემბრიდან, ანუ ე. წ. „ვარდების რევოლუციიდან“ იწყება. სწორედ ამას ისახავს მიზნად ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებლის — მერაბ კოსტავას სახლის ეზოს გაყიდვაც, რასაც ეროვნული გმირის სახლის დანგრევა მოჰყვება. გამოცხადებულია აუქციონი. ამ ადგილზე 50-სართულიანი შენობების აგება სურთ კომერციული და გასართობი დაწესებულებებით — ითქვა მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ეზოში გამართულ პრესკონფერენციაზე .**



„ჩვენ ბუნებრივია, წინ აღვუდგებით ამ პროექტს, ვინაიდან ეს არის ეზო, სადაც ეროვნული მოძრაობის აკვანი დაირწა, რამაც შემდგომში საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოუტანა — „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ სახელით განაცხადა დავით კუპრეიშვილმა.

„ის, რაც დაიწყო XX საუკუნის ბოლო მეოთხედში, იყო საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ახალ, თანამედროვე ეტაპზე აზვირთება, ქართველი ერის თავდაუზოგავი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რაც საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიერ 1991 წლის 9 აპრილს მიღებული დამოუკიდებლობის აქტით დაგვირგვინდა.

ყველა ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეროვნულ გმირს — მერაბ კოსტავას. ციხიდან მერაბ კოსტავას გათავისუფლების შემდეგ, 1987 წ. 26 მაისს გამართული პირველი საჯარო ლექციით დაიწყო ქართველი ერის გამოღვიძება.

„1988 წ. 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად პირველი მიტინგი სწორედ ამ ეზოში ჩაატარა მერაბმა. შემდგომ, ყოველ ოთხშაბათს აქ იკრიბებოდა ეროვნული მოძრაობა. ხალხის რაოდენობა დღითი დღე იზრდებოდა და ერთი წლის თავზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საყოველთაო მოვლენად იქცა.

არ დავუშვებთ ამ ეზოს ხელყოფას, გარდა იმისა, რომ მოისპობა და შეირყვნება საქართველოს ეროვნული მოძრაობისათვის წმიდათაწმიდა ადგილი, მთლიანად დამახინჯდება თბილისის გული — რუსთაველის მოედანი, შოთა რუსთაველის ძეგლი კი საერთოდ ჩაიკარგება ცათამბჯენისაგან წარმოქმნილ ქვაბში“, — ითქვა აქციაზე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე პარტიები მიმართავენ საქართველოს მოსახლეობას, გაერთიანებული ძალებით აღუდგნენ წინ ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმისა და ეზოს განადგურებას.

**სოფიო გოგლიძე**

№ 115. ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

# „უფროსი ძმა“

● ამ ქვეყანაში, დემოკრატია უცხო მოვლენა იყო და დარჩება, რის გამოც თებერვლის რევოლუციას ყოველთვის ოქტომბრის რევოლუცია მოსდევსო, — ამტკიცებს ზოგი კონსერვატორულად განწყობილი მკვლევარი



◉ კითხული კაცის აზრი

## პუტინის რუსეთი: „მომავალი რემონტზეა დაკეტილი...“

თანაც, ენერგეტიკული რესურსების სიუხვით რანჟირებული პრიორიტეტები არ მოითხოვენ საბაზრო ურთიერთობებს, კერძო საკუთრების უფლებების დაცვას და პოლიტიკურად მათ უზრუნველმყოფელ დემოკრატიას იმ ზომით, როგორც მოეთხოვება ქვეყნებს, სადაც პრიორიტეტი სხვა ვერაფერი იქნება, ვიდრე ადამიანისეული კაპიტალის განვითარება. **ამ ქვეყანაში, დემოკრატია უცხო მოვლენა იყო და დარჩება, რის გამოც თებერვლის რევოლუციას ყოველთვის ოქტომბრის რევოლუცია მოსდევსო, — ამტკიცებს ზოგი კონსერვატორულად განწყობილი მკვლევარი. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს, ალბათ, მაინც გადაჭარბებული შეფასებებია და რუსეთიც არ უნდა იყოს ანტიდემოკრატიულობისთვის სამუდამოდ განწირული.**

პოსტკომუნისტურ ქვეყანაში დემოკრატიზმის განვითარების სპეციფიკურ, უპრეცედენტო პრობლემებთან ერთად, სხვა მძლავრი დამამძიმებელი მიზეზებიც მოქმედებდა. გარდაქმნების დაწყების დროს ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ბატონობდა რეიგან-ტეტჩერის „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ იდეები, რომელთა განხორციელებას პოსტსაბჭოთა სივრცეზე შეუდგა საერთაშორისო სავალუტო ფონდი ე.წ. „შოკური თერაპიის“ მეშვეობით.

**ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა საბაზრო ძალებმა კი ვერ შეძლეს სწრაფად ჩაენაცვლებინათ ძველი მმართველობითი სტრუქტურები ინსტიტუციურ სფეროში (მათ შორის, ახალი საკანონმდებლო აქტების ნაკლებობის და არასრულყოფილების გამო), ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების განხორციელებასა და საბაზრო ინფრასტრუქტურების (გამართულად მომუშავე ბანკები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ფინანსური შუამავლები, საკონსულტაციო დაწესებულებანი და სხვ.ძ შექმნაში.**

ყოველივე ამან წარმოშვა პრობლემები, რომლებიც ვერ გადაიჭრებოდა მხოლოდ ლიბერალიზაციით და პრივატიზებით. ამასთან ერთად, „ცივ ომში“ გამარჯვებულებს პირველ რიგში სურდათ (და ხელს უწყობდენ დახმარების სხვადასხვა არხებითძ პრივატიზების მეშვეობით სოციალური პროცესების შეუქცევადობის და ცენტრალიზებული ეკონომიკის რესტავრაციის შეუძლებლობისთვის მიეღწიათ და საკუთრივ პრივატიზაციის ეკონომიკური და სოციალური შედეგები ნაკლებად აინტერესებდათ. მაგრამ, აქ საქმე ეხება არა მაინცდამაინც „ამერიკელების ვერაგობას“, როცა კეთილგანწყობილი რიტორიკით დამღუპველ რჩევებს იძლევიან, არამედ მათ ღრმა რწმენას (რომელიც რუსეთის მოვლენებმაც ვერ შეარყია), რომ, თუ...

რჩევებს იძლევიან, არამედ მათ ღრმა რწმენას (რომელიც რუსეთის მოვლენებმაც ვერ შელახა და ერაყში გაამეორებინათ ასევე წარუმატებლადძ, რომ საკმარისია გაანადგურო ავტორიტარიზმი და წარმოქმნილ პოლიტიკურ ვაკუუმს განთავისუფლებული ხალხის საკუთარი აქტივობა სპონტანურად შეავსებს დემოკრატიით.

**სათქმელია ისიც, რომ მთლიანად ისტებლიშმენტი (ეროვნული იდეოლოგიის მესვეურები და სახელმწიფო ინსტიტუტების განმკარგველები, მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებიძ ვერ აღმოჩნდა რუსეთში ლიბერალიზაციის და პრივატიზაციის აუცილებელი და საკმარისი საფუძვლების შექმნის პროცესის ლოგიკურ სასრულამდე მიმყვანი.** ასეთ პირობებში ამოქმედებულმა „შოკურმა თერაპიამ“ უფრო „შოკი“ მოიტანა, ვიდრე „თერაპია“ და, შედეგად, ქაოსის და „ველური კაპიტალიზმის“ (ზოგი მიიჩნევს, რომ ეს რბილი გამოთქმაა და უმჯობესია ტერმინი „ნეოლიბერალური ფეოდალიზმი“ ვიხმაროთძ ისეთი ექსტრემალური ფორმა ჩამოყალიბდა, რომელიც არასდროს უნახავს დასავლეთის არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანას. ამიტომ, პუტინისეული ახალი ტოტალიტარიზმის კონცეფცია ბევრისთვის რუსეთში სავსებით მისაღები აღმოჩნდა. გამოვიდა, როგორც ვ. ლენინი ამბობდა, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“. წინ სვლას, უკან დაბრუნება არჩიეს.

ანტილიბერალისტურ შემოტრიალებას ძლიერი ნეგატიური შედეგები მოჰყვა საქმიანი აქტივობის თვალსაზრისით. XIX საუკუნის ამერიკელი მაგნატები უკეთური გზებით ნაშოვნ სახსრებს ქვეყნის მზარდ ეკონომიკაში აბანდებდნენ. **დღევანდელი რუსი პლუტოკრატები კი, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მონაცემებით, 2006 წლის ბოლოსთვის უცხოეთის ბანკებში ინახავენ 219,6 მილიარდ დოლარს — თანხას, რომელიც აღემატება რუსეთში არსებულ ყველა საბანკო დეპოზიტს და წლიურ სახელმწიფო ბიუჯეტს. ისინი უცხოეთის ბირჟებზე საფინანსო სპეკულაციებით უფრო არიან დაინტერესებულნი, ვიდრე ჩინოვნიკური ნომენკლატურისთვის გადასახდელი ქრთამებით გაძვირებული საკუთარი ეროვნული ბიზნესით.**

საკითხს, აქვს თუ არა ალტერნატივა ლიბერალიზაციას და პრივატიზაციას ეკონომიკაში და დემოკრატიას მთლიანად სოციალურ ცხოვრებაში, თანამედროვე რუსეთში თავისებურად უპასუხებენ და მიაჩნიათ, რომ აქვს. და მას სახელიც მოეძებნა — „სუვერენული დემოკრატია“. ეს არ არის დემოკრატიის საკვანძო და აუცილებელი პრინციპების დანერგვა, რომელიც შეიძლება ეროვნული ნიშნებით განსხვავდებოდეს სხვა ქვეყნებისაგან — ეს რუსეთის განსაკუთრებული, უპრეცედენტო, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გზაა. **მაგრამ, ვისაც დემოკრატიის პრინციპების შესახებ ცოტა მაინც სმენია, დაგვეთანხმება, რომ ამ სიტყვების მიღმა პუტინის რეჟიმის სხვა სახე იმალება: ნავთობის მაღალი მსოფლიო ფასებით გაზულუქებული და კორუფციული კავშირებით შეკრული ავტოკრატიული ტოტალიტარიზმი, სადაც დეპოპულაციურ ხალხის მასებს მართავს სისტემურად ურთიერთგადაკვეთილი ხელისუფლების ჩინოვნიკური ვერტიკალი და დეპოლიტიზირებული ოლიგარქიული კლანების ჰორიზონტალი.**

საქართველოში 2003 წელს გადაწყდა, რომ ლიბერალიზაციისა და პრივატიზაციის პროცესის გაგრძელებას ალტერნატივა არ აქვს, რომ, მიუხედავად სავალალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა (რის გამო ჩვენთან მრავლად იყო სახელმწიფოს ეკონომიკური როლის რადიკალურად გაძლიერების მოთხოვნებიძ, მაინც წინ სვლა სჯობს. ზემოდ ხსენებული გაუგებარი „სუვერენული დემოკრატიების“ და „ფერადი რევოლუციების“ გზა საბოლოოდ გაიყარა.

**თავისუფლება — ყველა დროის ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ლოზუნგია, თუმცა დემაგოგიისთვისაც ბევრჯერ გამოყენებულა. ხალხის კეთილდღეობის ზრდა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი და წარმოუდგენელია, რომ რუსეთის მოქალაქეებს სურდეთ საკუთარი მდგომარეობის გაუარესება.** აქ, რა თქმა უნდა, დიდი როლი ოფიციალურმა პროპაგანდამ შეასრულა, რომელიც აღვივებს საშიშროების და სხვა ხალხების მიმართ უნდობლობის გრძნობებს ეროვნული ქედმაღლობის და კომპლექსის (თითქოს, უკეთესი სოციალური მოწყობისთვის თვითონ ხალხი არ არის ჯერჯერობით მომწიფებულიძ არასახარბიელო ნაერთის გამოყენებით, რაც ტოტალიტარული საზოგადოების იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

რამდენ ხანს შეძლებს „სუვერენული დემოკრატია“, გასული XX საუკუნის საბჭოური კარჩაკეტილობის სიმბოლო-მუტანტი, დააკმაყოფილოს სოციალური არასრულყოფილების კომპლექსის არარაციონალური მოთხოვნები, ძნელი სათქმელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში იზრდება პოლიტიკური დაძაბულობა და კრიზისები გარდუვალი ხდება. ამგვარი კრიზისის შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია, რომ ქვეყანაში კიდევ უფრო ექსტრემალურმა, თუნდაც ნაციონალ-სოციალისტურმა ძალებმა გაიმარჯვონ. ასეთ დროს ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების გატარება და ეკონომიკური განვითარება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება.

**ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლების და დემოკრატიის წინააღმდეგ გალაშქრების მამოძრავებელი იმპულსები მოქმედებენ საზოგადოების როგორც ზედა დონეზე, სადაც ბატონობს ხელისუფლებისთვის ბრძოლაში კონკურენციის შემცირების, პოლიტიკური ელიტების წრის შევიწროების, სახელისუფლებო სტრუქტურებში საკუთარი ადგილის სტაბილიზაციის სურვილები, ასევე ქვედა დონეზეც, როცა ადამიანებს არ სურთ საკუთარ სიცოცხლეზე პირადი პასუხისმგებლობის ტვირთი ზიდონ და ამიტომ ცვლიან თავისუფლებას დოვლათის რაღაც გარანტირებულ რაოდენობასა და სახელმწიფოს მხრიდან პატრონობაზე.** ამასთან დაკავშირებით დღევანდელ რუსეთში ცდილობენ, მაქსიმალურად შეასუსტონ ხალხის პოლიტიკური აქტიურობა და, სამაგიეროდ, გააძლიერონ სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნის ფსიქოლოგიური სტერეოტიპი.

ანტილიბერალების პოზიციებს აძლიერებს ერთი გარემოებაც. პოსტსაბჭოთა სინამდვილე ლიბერალიზაციის პროცესებით დაიწყო, მაგრამ მალევე ეკონომიკასა და პოლიტიკაში ისეთმა გაუნუკითხაობამ, თვითნებობამ და ქაოსმა მოიკიდა ფეხი, რომ ხალხმა ის მოკრძალებული თავისუფლებაც დაკარგა, რასაც ადრე ფლობდა. როგორ არ გავიხსენოთ აქ პლატონი: შეუზღუდავი თავისუფლების დროს ძლიერები უფრო სწრაფად იმონებენ სუსტებს, ან კანტი: თავისუფლება უნდა შეიზღუდოს ისე, რომ ყველას მისი მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობა ერგოს. როცა ამგვარი მოთხოვნები უგულებელყოფილია, ბუნებრივია, უკურეაქციის აღმოცენება.

**ოთარ კანდელაკი,**
**დოქტორი, საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.**

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 114.

◉ ინფორმაცია

### ლიტვაში ვიზიტი დასრულდა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაციამ, რომელსაც მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე ხელმძღვანელობდა, ლიტვაში ვიზიტი დაასრულა.**

ლიტვის იუსტიციის სამინისტროში სახელმწიფო მდივანთან არუნას კაზლაუსკასთან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გენერალურ დირექტორ კაუნუს ლიტკუნასთან გამართულ შეხვედრებზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ორი ქვეყნის იუსტიციის უწყებებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება, პირველ რიგში, ეს შეეხება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროს.

იუსტიციის სამინისტროს გარდა, გივი მიქანაძემ ლიტვაში შეხვედრები გამართა სასამართლო აღმასრულებელთა პალატასა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო დაწესებულებაში.

საქართველოსა და ლიტვას შორის 2005 წელს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას სასჯელაღსრულების, პრობაციის, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის რეფორმასა და ჩამოყალიბებაში.

მისი თქმით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ნიშანია იმისა, რომ შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და მოსახლეობა დასაქმდება, რაც მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება.

### მთავრობამ კი ამოიღო, მაგრამ ჯერ არ გადაუწყვეტია — რისთვის

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულევის ტერიტორიაზე, ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსის მშენებლობისათვის შერჩეული სატყეო ტყის ფონდიდან 115 ჰექტარი ფართობი ამოირიცხება.**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით მთავრობას არ გადაუწყვეტია, თუ რა დანიშნულებით გამოიყენებს ამორიცხულ ფართობს.

— აღნიშნული გადაწყვეტილება ყულევის ტერმინალთან ან ყულევის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობასთან კავშირში არაა. უბრალოდ, მთავრობამ ყულევის ტერიტორიაზე ტყის ფონდიდან 115 ჰექტარი ფართობი ამოიღო, — განაცხადა ტყეშელაშვილმა .

ჯი-ეიჩ-ენი

# საით მივდივართ?

● აი, მართლაც ბედის ირონია – გუშინდელ „მტერს“ – კირკიტაძეს გამარჯვებას ვუსურვებ, რადგან ის მიშას გუნდში, შედარებით ქართულ გუნდში, მოიაზრება



◎ გულის ბუხარი

# მათხოვართა ქვეყანა – ბიზნესკლიმატის ოაზისში

*ეს წერილი ამას წინათ ეკა ხოფერიას „ღია ეთერმა“, უფრო სწორად, მისი სტუმარი ბიზნესმენების ურცხვმა ტყუილმა დამაწერინა. მათგან ფართო საზოგადოებისთვის ყველაზე ცნობილი „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი თემურ ჭყონია და სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის“ შეფი მაია რჩეულიშვილი გამოირჩეოდნენ კომენტარებისა თუ განცხადებათა შინაარსის ცინიზმით.*

*თურმე ნუ იტყვით და, საქართველოში ბიზნესის დაწყება (უბრალოდ რომელიმე ფირმის დაარსება კი არა, ბიზნესის დაწყებაძ ყოველგვარი „კრიშების“, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან ნაცნობ-მეგობრობის გარეშე, სულ ადვილად შეუძლია ნებისმიერ, უბრალო მოკვდავს. უფრო მეტიც, მათ წარმატების მიღწევა ლამის გარანტირებული ჰქონიათ. დანარჩენი ორი რესპონდენტის ვინაობა, სამწუხაროდ, ვერ დავიმახსოვრე. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს მათ გვარებს. ისინიც ენამზეობდნენ საქართველოში ეკონომიკური ზრდის არნახულ ტემპზე.*

ამ ყველაფერმა ახლო წარსული გამახსენა, როცა ჩაბნელებულ თბილისში პრეზიდენტი შევარდნაძე ყოველ ორშაბათს გამართული რადიოინტერვიუებით გვიმტკიცებდა, რომ შავი თეთრია, სიბნელე კი არა, სინათლეა, მანიპულირებდა რაღაც მითიური პროცენტებით, რომელთა მიხედვითაც საქართველოში თურმე ეკონომიკური აღმავლობა იყო. ახლა აღარც ბატონი შევარდნაძეა პოლიტიკაში და აღარც იმ რადიოინტერვიუების უცვლელი წამყვანი ნატო ონიანი – ჟურნალისტიკაში. ორივენი ვარდების რევოლუციამ წალეკა.

დღესაც დაახლოებით იგივე ვითარებაა. პრეზიდენტის თამადობით ყველა ჩინოსანი გაზრდილ ბიუჯეტსა და ეკონომიკურ ზრდაზე, ევროპა-ამერიკაში ვიღაც-ვიღაცეების მიერ საქართველოსთვის პირველი ადგილის მიკუთვნებაზე, დემოკრატიაზე, ბიზნესის გარემოს სამოთხეზე და ა.შ. საუბრობს.

არადა, რეალობა სულ სხვაა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ჯიბეგახვრეტილობას, მაცივრების სიცარიელეს თავი რომ დავანებოთ, იმდენი მათხოვარი, ხელგაწვდილი ადამიანი, რამდენსაც თბილისში ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით, კაცი ვბერდები და, არ მახსოვს. რომ იტყვიან, ტანში მზარავს, ისე მიჭირს თბილისის ქუჩებში ფეხით სიარული. რამდენს უნდა ვუწილადო რამე ჩემი მწირი ბიუჯეტიდან, რომც მოვინდომო?

დგანან სირცხვილისაგან თავჩაქინდრული „გუშინდელი“ ნორმალური ადამიანები. ჩაშტერებიან მიწას და გაწვდილ ქუდებსა თუ ქილებში ხურდა ფულის იშვიათი წკრიალი, ალბათ იმ დროს ახსენებთ, როცა ისინიც ადამიანები იყვნენ. თუნდაც „საზიზღარი კომუნისტების“ დროს.

## ღარიბი საქართველოს მდიდარი შვილები

**წინ მიდევს ამ სათაურით „ჯორჯიან ტაიმსში“ გამოქვეყნებული, აქ თუ მსოფლიოში მიმოფანტული მდიდარი ქართველების სია, რომელსაც სათავეში მსოფლიო დონის მილიარდერები ბადრი პატარკაციშვილი და ბიძინა ივანიშვილი უდგანან (მილიონერებზე არაფერს ვიტყვიძ, და ვფიქრობ: რატომ არა აქვს არც ერთ მათგანს სერიოზული ბიზნესი საქართველოში?**




პატარკაციშვილი ლამის საერთოდ გააქციეს აქედან, მისი „ბიზნესი“ აქ ქველმოქმედებას უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ ბიზნესს. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას ბიძინა ივანიშვილზეც. თითქმის-მეთქი, იმიტომ რომ, ჯერაც მშობლიურ საჩხერეში, სოფელ ჭორვილაში ცხოვრობს. ანუ, ჯერ ვერ გააქციეს სამშობლოდან. ეს კაცი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ღმერთია საჩხერლებისთვის, რომლებიც მისი წყალობით ლამის კომუნიზმში ცხოვრობენ, ოღონდ არა ლენინის, არამედ ბიძინა ივანიშვილის მიერ დამკვიდრებულში. გაზი, სინათლე, სამედიცინო მომსახურება ყველაფერი უფასოდ აქვთ საჩხერლებს. არაფერს ვამბობ სოფელ ჭორვილაზე. უფრო სწორად ამ წერილში არ ვამბობ. ამ ზაფხულს აუცილებლად ჩავალ ბიძინა ივანიშვილის სოფელში და იქაურების ყოფის შესახებ სპეციალურ წერილს დავწერ.

მარტო ამ ორი კაცის მილიარდები ეყოფოდა საქართველოს ეკონომიკის რეალურ წინსვლას. ამ სიაში ბევრი სხვაც არის. დავანებოთ თავი იმათ, ვისაც არ შეუძლია ქონების აფიშირება, რადგან არმად აქვს ნაშოვნი. მაგრამ ივანიშვილის და პატარკაციშვილის გარდა ხომ კიდევ ბევრია ამ სიაში ისეთი, ვისაც არ ეშინია? მაშ რატომ არა აქვს არც ერთ მათგანს სერიოზული ბიზნესი დედა-საქართველოში?

იმიტომ, რომ წერილის თავში ნახსენები საქართველოს „წამყვანი“ ბიზნესმენები ცრუობენ. რევოლუციის შემდეგ ვინ ვის რამდენი გადაუხადა, ან გადაახდევინეს, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, იქნებ ჭორის დონეზე, მაგრამ მაინც ცნობილია, რადგან, რომ იტყვიან, „კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება“. ეს თქვენი განსასჯელია, მათხოვართა ქვეყნის კიდევ ღირსებაშენარჩუნებულო ხალხო!..

## „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“!



**ასეთი დასახელების წიგნი ინახება ჩემს „არქივში“, რომლის ავტორი ჩვენი ამჟამინდელი პრეზიდენტია და რომელიც მან მაშინ მისახსოვრა, როცა ოპოზიციაში გადავიდა. ცხადია, წიგნის შინაარსის მოყოლას არ ვაპირებ, მაგრამ, ეტყობა, ახლა დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის... თვით უმრავლესობაში. ეს ამბავი კაი ხანია, რაც კულუარულად ცნობილი იყო და რაც ელენე თევდორაძის ამასწინანდელმა ჯერ საგაზეთო ინტერვიუმ, შემდეგ კი ინგა გრიგოლიას „რეაქციაში“ გამოსვლამაც დაადასტურა.**

პერსონიფიცირებისგან თევდორაძემ, როგორც შეეძლო, თავი შეიკავა. არც მე ვაპირებ ამას. უბრალოდ ვიტყვი, რომ ერთ მხარეს „კმარელ-სოროსელი“ ეგრეთ წოდებული „თავისუფლების ინსტიტუტის“ აშკარად ანტიეროვნული ძალაა, მეორე მხარეს კი – შედარებით ქართული, პრეზიდენტის გუნდად წოდებული ხალხი.

ანუ ჩვენ, ქართველებს, ისევ ცუდსა და უარესს შორის გვიწევს არჩევანის გაკეთება. შიდა სახელისუფლო ბრძოლაში ვინ გაიმარჯვებს, ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედი, თორემ ოპოზიციის იმედზე, გინდა საპარლამენტოსი და – გინდა პარლამენტსგარეთასი, თქვენი და ჩემი მტერი იყოს, ჩემო მკითხველო. ეგენიც კაი ხვითოები არიან და იმიტომ.

ღ მ ე რ თ მ ა დაგვიფაროს, რომ ბოკერიალომაიამ, ანუ „თავისუფლების ინსტიტუტმა“ გაიმარჯვოს. ამ შემთხვევაში მეორე გუნდის გულშემატკივარი ვარ, რომელშიც ჩემს მიერ ათასჯერ გაკრიტიკებული, „საძულველი“ დათო კირკიტაძეც შედის. აი, მართლაც ბედის ირონია – გუშინდელ „მტერს“ – კირკიტაძეს გამარჯვებას ვუსურვებ, რადგან ის მიშას გუნდში, შედარებით ქართულ გუნდში, მოიაზრება.

**დავით მხეიძე**

◎ ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!

# „ნინა, ნინა, ჩემო ნინა, გათხოვება ხომ არ გინდა?“

## ანუ – სიძე, შე ძველო!

**როგორ არ უნდა ნინას გათხოვება და განა მარტო ნინას? ეს მარადიული თემაა ყველგან და მათ შორის საქართველოშიც. ხანუმობა, მაჭანკლობა, გადანახულება, გარიგება... იყო და იქნება! დღესაც არსებობენ ასეთი „ინსტიტუტები“. საჭიროა, საჭირო! გამრავლდი, ერო, იხარე, ჭერო!**

ამას წინათ ტელეარხმა „რუსთავი-2“ გვამცნო, თბილისში ჩამოვიდა გერმანელი, არცთუ ისე ახალგაზრდა (50 წლისძ მამაკაცი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული, ცოლად მოიყვანოს ქართველი ქალიო. მხოლოდ და მხოლოდ ქართველიო. ეტყობა, გერმანელმა პრინცმა, გულდასმით შეისწავლა ყველაზე სასურველ და მომხიბვლელ ქალთა ადგილსამყოფელი და ჩვენ ქვეყანას დაადგა თვალი. ჰოდა, კიდევაც გამოემგზავრა რომელიმე მათგანის გასაბედნიერებლად.

დიდი ამბავი! ვინ არ მოუხიბლავთ ქართველ მანდილოსნებს, რომელი ერის შვილი არ გამხდარა ჩვენი სიძე? გადავხედოთ ისტორიას.

ერთი სიტყვით, რახან „მაჭანკლობა“ დაიწყო, „რუსთავი-2“ ბოლომდე მიჰყვა კიდეც საქმეს და აგერ ამ ორიოდე დღის წინათ „პირდაპირი რეპორტაჟით“ გადმოსცა ამ „მაჭანკლობის“ პერიპეტიები.

თავიდანვე ვიტყვი: ეს იყო შემზარავი, შეიძლება ითქვას, ამორალური და ქალებისთვის დამამცირებელი პროცედურა!

... შარდენის ქუჩაზე, ლამაზ კაფე-ბარში, საქვეყნოდ მიმდინარეობდა პატარძლის „გადანახულება“.

მაგიდასთან იჯდა სიძებატონი, საპატარძლოები კი „უწყვეტ ნაკადად“ მოედინებოდნენ. მოდიოდნენ მორთულ-მოკაზმულები, ეულად თუ დედასთან ერთად... მოდიოდნენ, მიუჯდებოდნენ საკონკურსო მაგიდას და მიმდინარეობდა დათვალიერება-დაკითხვა.

სასიძო ღიმილნარევი გამომეტყველებით ესაუბრებოდა (მხოლოდ არ ვიცი, რომელ ენაზე!ძ „აბიტურიენტებს“ ათვალიერებდა და თავისთვის რაღაცას ინიშნავდა უბის წიგნაკში.

გულმკვდარი ტოვებდნენ იქაურობას დაწუნებულები, მათ ადგილს კი სხვა პრეტენდენტები იკავებდნენ. „პირველ ტურში“ გასული გამონაკლისები ბედნიერნი შამპანურის ჭიქასაც კი უჭახუნებდნენ სავარაუდო ნეფეს.

ასე იყო თუ ისე, როგორც იქნა, ერთ-ერთ მათგანს დაადგა თვალი პრინცმა. სხვებზე მეტხანს დაჰყო მასთან, ის კი არა, საცეკვაოდაც გაიწვია და თავის მოქმედება ასე ახსნა: „მე ქორეოგრაფი გახლავართ და ცეკვაშიც უნდა გამოვცადო ჩემი მომავალი მეუღლეო“.

რჩეული კი, საბედნიერო ბრწყინებული შესციცინებდა სახეში მამაკაცს და დაბნეული იმეორებდა: „ასე მგონია, დიდი ხანია, ვიცნობ ამ კაცს“.

ბოლოს გერმანელმა სასიძომ მკლავი გამოსდო ქართველ ბედისმაძიებელს და იქაურობა და, მათ შორის, გულდაწყვეტილ გოგონათა დასტა, უკომენტაროდ დატოვა!

თუ როგორ განვითარდება დაწყვილებულთა შემდგომი ბედ-იღბალი, იმედია, ტელეარხი „რუსთავი-2“ უახლოეს დღეებში გვამცნობს.

**გურამ გომართელი**

№ 115. ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

თემა

● „თბილისის წყლის“ გენერალური დირექტორის გიგი გელბაქიანის განმარტებით, პანიკის საფუძველი არ არსებობს, რადგან წყალი, რომელსაც ვსვამთ, აბსოლუტურად სუფთაა, მოსახლეობას წყლის გამო არავითარი საფრთხე არ ემუქრება



◎ სიტუაცია

# წყალი სვით, სუფთაა, ღორის სუკზე კი... გოდიში, გატონო!

**იმ ადგილებში, სადაც ღორების დაავადება აღინიშნა ჯანმრთელი ღორები მხოლოდ ერთი წლის შემდეგ უნდა შეიყვანონ.**

საიდან შემოვიდა და ასე გავრცელდა საქართველოში დაავადება, „აფრიკული ცხელება“, ანუ „აფრიკული ჭირი“, კვლავაც უცნობი რჩება, თუმცა მან თავისი „მისია“ უკვე შეასრულა. ვარაუდობენ, რომ მთლიანად საქართველოში ამ დაავადებით 20 ათასი სული ღორი გაწყდა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს ციფრი რეალურ სიტუაციას არ ასახავს, რადგან ხშირად მოსახლეობა ისე მარხავდა დაავადებულ თუ გამწყდარ ღორებს, სათანადო სამსახურებს ამის შესახებ არც კი აცნობებდა.

დაავადების აქტივობის გამო, სემინარზე, რომელიც **გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო-ს)** ინიციატივით ჩატარდა და ფრინველის გრიპს ეძღვნებოდა, უცხოელმა და ქართველმა ექსპერტებმა ვრცლად ისაუბრეს სწორედ „აფრიკული ცხელების“ შესახებ და, რაც მთავარია, მოწვეულმა უცხოელმა სპეციალისტებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ ადგილზე უწევენ დახმარებას მოსახლეობას.

სემინარის ერთ-ერთი ორგანიზატორის, საქართველოში ფაო-ს კოორდინატორის **მიხეილ სოხაძის** განმარტებით, სემინარი კავკასიის რეგიონში ფრინველის გრიპის კონტროლსა და მასთან ბრძოლის ღონისძიებებზე იყო დაგეგმილი, მაგრამ საქართველოში იმდენად ცუდი შედეგი მოჰყვა ღორების დაავადებას, რომ გადაწყვიტეს, სპეციალურად მოეწვიათ ამ დაავადების მცოდნე უცხოელი სპეციალისტები.

ფაო-ს რეგიონალურმა კოორდინატორმა სამხრეთ ევროპასა და კავკასიაში, დოქტორმა **დეჰნერმა** სემინარზე ყურადღება გაამახვილა არა მარტო ფრინველის გრიპსა და ღორების „აფრიკულ ცხელებაზე“, არამედ, ზოგადად, სხვა საშიშ დაავადებებზეც.

აღინიშნა, რომ „აფრიკული ცხელება“ ჩრდილოეთ აფრიკაშია გავრცელებული, ამ დაავადების რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა პორტუგალიაში, ესპანეთსა და იტალიაში.

დაავადების გადატანა ღორებზე მწერებსაც და ძაღლებსაც შეუძლიათ, მაგრამ საბედნიეროდ, სხვა ცხოველზე არ ვრცელდება.

დაავადებული ღორის გადარჩენა თითქმის შეუძლებელია, 98-100 პროცენტი სიკვდილით მთავრდება, მაგრამ იგი სამი თვის განმავლობაში ვირუსის მატარებელია და სხვა ღორებს აავადებს.

გაეროს ექსპერტთა თქმით, დაავადებათა გავრცელებას ხელს უწყობს ხორცპროდუქტების უკონტროლო შემოტანა და ვაჭრობა, ასევე სარისკოა ინფიცირებული ინვენტარი, ტრანსპორტი და ვეტერინარიულ-სანიტარიული წესების დაუცველობა.

სემინარზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყანაში ამ დაავადების შეტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ყოველი საეჭვო ქვეყნიდან როგორც შინაური, ასევე გარეული ცხოველის ხორცპროდუქტების შემოტანის აკრძალვა. ასევე მნიშვნელოვანია მკაცრი კონტროლის დაწესება საგზაო-სატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე აუცილებელია თითოეული სალორისა და ინვენტარის დეზინფექცია, ხოლო ჯანმრთელი ცხოველების იზოლირება და დაავადებულის დაუყოვნებლივ განადგურება. ღონისძიებების კომპლექსურად ჩატარების შემდეგ შესაძლებელია 30 დღეში კარანტინის მოხსნა, მაგრამ დაავადების ყოფილ ადგილზე რისკის ჯგუფების ზონებში ჯანმრთელი პირუტყვის შეყვანა რეკომენდირებულია დაავადების ლიკვიდირებიდან ერთი წლის შემდეგ.

ეს დაავადება პირველად გურიასა და სამეგრელოში აღინიშნა, შემდეგ კი კახეთშიც გავრცელდა, კახეთმა ამ მხრივ ყველაზე დიდი ზარალი განიცადა. კახეთში გზები ისევ ჩაკეტილია, კონტროლი გამკაცრებულია სიღნაღის რაიონშიც, თუმცა იქ ვირუსი ჯერჯერობით არ აღნიშნულა.

**ვეტერინარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის კობა ძამაშვილის** განცხადებით, ბოლო დღეებში დაავადების ერთეული შემთხვევები ვლინდება, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა ისე მწვავედ აღარ დგას.

მაინც საიდან უნდა შემოეღწია ჩვენში ღორის ჭირს? ამ საკითხზე ზუსტი პასუხი ჯერ არავის აქვს. ბატონი კობა არსებულ ვერსიებს არ ენდობა და აცხადებს, რომ გადაჭრით ვერაფერს იტყვის, რადგან კონტრარგუმენტებიც არსებობს, თუმზა თავად მიაჩნია, რომ შესაძლოა, დაავადება ზღვით შემოეტანათ, ანდა სხვადასხვა ინვენტარს შემოჰყვა.

ღორების დაავადებამ „წყლის შიშის სინდრომით“ გამოიწვია, რადგან მოსახლეობამ ტელევიზიით იხილა, თუ როგორ ეყარნენ დახოცილი ღორები მდინარეებში, ხშირად წყალსაცავებშიც კი. „თბილისის წყლის“ გენერალური დირექტორის **გიგი გელბაქიანის** განმარტებით, პანიკის საფუძველი არ არსებობს, რადგან წყალი, რომელსაც ვსვამთ, აბსოლუტურად სუფთაა, მოსახლეობას წყლის გამო არავითარი საფრთხე არ ემუქრება, რადგან მუდმივად ხდება მონიტორინგი, ხოლო ახალი ციფრული ლაბორატორიის მეშვეობით, ყოველ ათ წუთში ავტომატურად კონტროლდება წყლის ხარისხი,— ამბობს გენერალური დირექტორი.

ასე რომ, სვით წყალი, მაგრამ ღორის სუკებზე... ბოდიში!

**ნაზი იმნაიშვილი**

◎ გლობუსი

# ახალი ომის დაწყებისთვის

**მსოფლიოში ბოლო ერთი კვირის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიდან ყურადღებას კვლავ ახლო აღმოსავლეთი იპყრობს. ბობოქარი რეგიონი ტერორისტული აქტებით, დაუსრულებელი პოლიტიკური დაპირისპირებით, სამოქალაქო ომამდე მისული ვითარებით ყოველთვის იყო და არის გაეროს და დიდი სახელმწიფოების სერიოზული თავსატეხი.**

ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის წარმოშობილი სამკვდრო-სასიცოცხლო დამოკიდებულება დროდადრო ხანმოკლე ზავითა და სამშვიდობო ხელშეკრულებებით იცვლება. საერთაშორისო არენაზე თავმოწონებით ჩნდებიან ებრაელი და არაბი მშვიდობისმყოფელები, მაღალი რანგის პოლიტიკოსები — ნობელის პრემიის ლაურეატები, ერთ-ერთი მათგანი, ისრაელის პოლიტიკური სამყაროს პატრიარქი, 84 წლის შიმონ პერესი, ისრაელის პრეზიდენტადაც აირჩიეს.

ბობოქარ მიწაზე სისხლიანი დაპირისპირებიდან ოდნავი სამშვიდობო გადახვევაც კი უმალ ექცევა ახლო აღმოსავლეთის სიმშვიდის მწყურვალი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ებრაელთა ან არაბთა მხრიდან მინიმალური სამშვიდობო ინიციატივა სერიოზული განსჯის საგანი ხდება სოლიდური საერთაშორისო ორგანიზაციების და დიდი სახელმწიფოების მიერ, თუმცა ჯერჯერობით ხანგრძლივი მშვიდობიანი შესვენება არ ჩანს. ერთკვირიანი, ერთთვიანი თუნდაც ერთწლიანი მშვიდობა დიდი ვერაფერი შეღავათია, მით უმეტეს თუ მას გაათკეცებული სისხლისღვრა მოსდევს.

ისრაელ-არაბთა დაპირისპირებას რომ სერიოზული, ღრმა ფესვები აქვს ამაზე დღეს აღარავინ დავობს. ისტორიული გაკვეთილების უგულებელყოფას ან სხვაგვარად ინტერპრეტირებას, რომ არც ერთი მხარე არ აიტანს, ესეც წარმოჩენილია. ათეული წლებია გრძელდება დავა, რომელსაც ბოლო არ უჩანს, რომლის რეზონანსი კარგა ხანია გასცდა



ახლო აღმოსავლეთის საზღვრებს.

ისრაელის სახელმწიფოს დაარსებიდან დღემდე არაბებსა და ებრაელებს შორის შერიგების პროცესში ჩართული სახელმწიფოები ერთის შეხედვით ძალას არ იშურებენ ამ კეთილშობილური საქმისათვის, თუმცა ყველა მათგანი ცდილობს რეგიონში შექმნილი ვითარებიდან თუ ბევრი არა, მცირე დივიდენდები მაინც მიელოს. ამ მხრივ შეუდარებელია აშშ-ი. მისმა ორმაგმა სტანდარტმა, გაუთავებელმა ფარულმა თუ ღია დიპლომატიამ, დაუშრეტელმა სურვილმა — მუდამ ომისა და მშვიდობის ზღვარზე ამყოფოს დაპირისპირებული მხარეები, თავისი გაიტანა — არც ომი და არც მშვიდობა, ვითარება, რომელიც ხანდახან საომარ მოქმედებაში გადადის.

ექსპერტების მიხედვით იმას, რაც დღეს პალესტინის ავტონომიაშია, არ ყოფილა პალესტინის ადმინისტრაციის შექმნის დღიდან, ანუ 1994 წლიდან. ერთმანეთის პირისპირ მდგარმა ორმა დაჯგუფებამ ჰამასმა და ფათეჰმა ისე შამოსცხეს ერთმანეთს, რომ მორგებში თავისუფალი ადგილები სანატრელი გახდა.

ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში ერთ-ერთ აქტიურ შუამავლად ითვლება. დაპირისპირებულ მხარეებს, მოუწოდა სასწრაფოდ შეწყვიტონ სისხლისღვრა. იგივე მოწოდება გაჟღერდა არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ეგვიპტის ამასწინანდელ საგანგებო შეხვედრაზეც, შედეგი, არ ჩანს.

უნებლიედ იბადება კითხვა: რამ გამოიწვია გარე ძალების, უპირველეს ყოვლისა ისრაელის პირდაპირი ჩარევის გარეშე ძმათა შორის სისხლისმღვრელი დაპირისპირება?

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საქმე მარტივია, ანუ წლების განმავლობაში პალესტინელთა მიერ დედის რძესავით შეთვისებულ ტრადიციას, ნებისმიერი საკითხის იარაღით გადაწყვეტას, წინ ვერაფერი დაუდგება.

სამოქალაქო ომის (სხვაგვარად ავტონომიაში არსებულ ვითარებას ვერ შევაფასებთძ დაწყების სტიმულატორად ის პოლიტიკა ჩაითვლება, რომელმაც დასავლეთის სახელმწიფოებს ავტონომიის დაფინანსება შეუწყვიტა. ავტონომია დაისაჯა იმ ყბადაღებული ქმედების გამო, რასაც დემოკრატია ჰქვია.

ერთ წელზე მეტია, რაც პალესტინის ავტონომიის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საყოველთაო, დემოკრატიული, გამჭვირვალე არჩევნებში მხარი დაუჭირა რადიკალურ ისლამურ მოძრაობას ჰამასს. მოსახლეობამ ჩათვალა, რომ მხოლოდ ჰამასს შესწევს ძალა უკეთესობისკენ შეცვალოს ავტონომიის ვითარება, შეებრძოლოს კორუფციას და კორუმპირებულ მოხელეებს.

საყოველთაო არჩევნებმა მკვეთრად შეცვალეს მრავალი წლის განმავლობაში მმართველი პარტია ფათეჰის მიერ ავტონომიაში ჩამოყალიბებული მდგომარეობა. პალესტინელთა გარდაცვლილი ბელადის და ფათეჰის ყოფილი ლიდერის იასირ არაფატის მიერ შექმნილმა ფათეჰის პარტიამ იძულებით ოპოზიციაში გადაინაცვლა, ხოლო იატაკქვეშ მყოფი ჰამასი ქვეყნის სათავეში მოექცა.

ობიექტურობიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ არც ერთ მხარეს არ აღმოაჩნდა თავშეკავების და პოლიტიკური პაექრობის არაძალისმიერი წარმართვის სიბრძნე. ფათეჰი ვერ შეეგუა დამარცხებას, ხოლო გამარჯვებული ჰამასისათვის ქვეყნის მართვის ტვირთი ერთობ მძიმე გამოდგა.

დაპირისპირების სათავეში ფინანსური უზრუნველყოფის შეწყვეტა დევს. ხელფასმიუღებელი მოხელეების სისტემატურმა გამოსვლებმა, მიტინგებმა, გაფიცვებმა და შეტაკებებმა, უაღრესად დაძაბეს ვითარება. ერთი წელია უხელფასობა, შიმშილი გონებას უმღვრევს საზოგადოებას. მრავალშვილიანი ოჯახების გამოკვების საკითხი ისეთი აქტუალური არასოდეს ყოფილა, როგორც დღეს.

ფინანსური ინექციის შეწყვეტის ინიციატორად აშშ-ს ადმინისტრაცია მოგვევლინა. მან ვერაფრით გადახარშა საყოველთაო არჩევნებში ჰამასის მიერ მოპოვებული გამარჯვება. ამერიკელები იმედს მოკავშირე ფათეჰზე ამყარებდნენ, დასაწყისშივე განაცხადეს, რომ ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირს არ დაიჭერენ, ვაშინგტონი მხოლოდ მაშინ ჩათვლის მიზანშეწონილად ჰამასთან ურთიერთობას თუ ის შეცვლის დამოკიდებულებას ისრაელთან, აღიარებს მას, როგორც სახელმწიფოს, უარს იტყვის შეიარაღებულ ბრძოლაზე და დაადგება დემოკრატიული გამოსწორების გზას.

დღიდან ხელისუფლებაში მისვლისა ჰამასელები იგივეს იმეორებდნენ ისრაელის მიმართ, რომ ისინი არ ცნობენ ისრაელის სახელმწიფოს, თუმცა მზად არიან გაიზიარონ რეგიონში შექმნილი სტატუსი, ანუ მეზობელი ისრაელის დე ფაქტო არსებობა.

№ 115. ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

## თემა

**ექსპერტები მიუთითებენ, რომ ტექნიკურ სიახლეთა 55 პროცენტი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ არის შექმნილი. ყველა თვალსაზრისით, მცირე ბიზნესი, თავისი შემოქმედებითი აქტიურობით, მუდმივი ძიებით და კონკურენტუნარიანობით, ახალ ძალას ჰმატებს ქვეყნის ეკონომიკას**



მეწარმეობა

# მცირე ბიზნესი უნდა გააქტიურდეს, მაგრამ, როგორ?

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ მცირე ბიზნესი ნებისმიერი ერის ეკონომიკურ პოტენციალს ზრდის. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები მუდამ იმის ცდაში არიან, რაღაც ისეთი შექმნან, რაც საზოგადოებას წაადგება და რასაც მოსახლეობის უმეტესობა გამოიყენებს. ექსპერტები მიუთითებენ, რომ ტექნიკურ სიახლეთა 55 პროცენტი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ არის შექმნილი. ყველა თვალსაზრისით, მცირე ბიზნესი, თავისი შემოქმედებითი აქტიურობით, მუდმივი ძიებითა და კონკურენტუნარიანობით, ახალ ძალას ჰმატებს ქვეყნის ეკონომიკას.**

სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები ქმნიან საშუალო ფენას, რაც ქვეყნის სიძლიერეა. ისინი არა მარტო შეძლებულნი არიან და ლუკმა-პური არ ენატრებათ, არამედ ეროვნული შემოსავლის სულ მცირე 60 პროცენტიც მათ წილად მოდის, მათი საქმიანობა კი საგრძნობ ფულად შემოსავალს აძლევს ბიუჯეტს. ერთპიროვნული მესაკუთრის უპირატესობა სწორედ ის გახლავთ, რომ იგი სწრაფად და სწორად იღებს გადაწყვეტილებას სხვების გარეშე. სწორედ რომ, მცირე საწარმოებს შეუძლიათ მაღალი მოგებით აწარმოონ ბევრი ისეთი საქონელი და გასწიონ მომსახურება, რომელიც არახელსაყრელია ან წამგებიანი მსხვილი საწარმოებისათვის.

თუმცა, შეიძლება ზოგჯერ ბიზნესი წარუმატებლადაც დასრულდეს, მაგრამ ეს ტრაგედიად არ უნდა აღვიქვათ. მცირე ბიზნესში პირველი წარუმატებლობა მწარე, მაგრამ გასათვალისწინებელი გაკვეთილია, რომელიც, შეიძლება, მეორე და მესამე მცდელობისას საკმაოდ დიდი გამარჯვებით დასრულდეს. მცირე ბიზნესის წამოწყება ბევრს უნდა, მაგრამ თითქოს ეშინიათ, ფიქრობენ, გაუმართლებთ თუ არა. ჩვენი რესპონდენტები ადრე ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდნენ, მაგრამ ამჟამად უმუშევრები არიან და ამას ძალიან განიცდიან. უნდათ, როგორ არ უნდათ, რაღაც ახალი საწარმოს გახსნა, მაგრამ მაინც თავს იკავებენ, რადგან მოსალოდნელზე მეტად გაძვირდა გაზი და ელექტროენერგია, ამის გარეშე ვერც ერთი საწარმო, გინდ მცირე იყოს, გინდ საშუალო, ფეხზე ვერ დადგება. ზოგიერთ მათგანს გავესაუბრეთ და ვკითხეთ, თუ რა უშლით ხელს ახალი საწარმოს შექმნაში ახლა, როდესაც ამას საქართველოს პრეზიდენტმა „მწვანე შუქი“ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ მისცა და ბიზნესმენებს აქტიური საქმიანობისკენ მოუწოდა.

2004 წელს მარტში ბიზნესმენებთან შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რატომ არ მუშაობს ჩვენთან კაპიტალი? არ მუშაობს იმიტომ, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა ვერ ქმნის სერიოზულად ახალ კაპიტალს. თუ აქციები ბირჟაზე არ გადის, თუ კონტრაქტს კანონი არ იცავს, თუ საკუთრება დაუცველია, მაშინ, რა თქმა უნდა, ეკონომიკა ვერ ვითარდება! ეჭვს არ იწვევს, რომ გადასახადების სახეობები უნდა შემცირდეს და იგი უნდა იყოს მარტივი და გასაგები.

ნამდვილად ვეთანხმებით პრეზიდენტის ამ სიტყვებს, მისი თვალთახედვა ნებისმიერი მეწარმისთვის მისაღებია და საინტერესო, მაგრამ მისმა „ქვეშევრდომებმა“ არცთუ ბეჯითად შეასრულეს მისი ეს მოთხოვნა. საქმე ის გახლავთ, რომ მცირე საწარმოს გახსნა ერთ დღეში შეიძლება, მაგრამ მის ამოქმედებას ბევრი სიძნელე ახლავს, რასაც თავად მეწარმეები ადასტურებენ.

**მიხეილ კვინტრაძე:** „კარგა ხანია, საწარმოს გახსნა მინდა, მაგრამ თავს ვიკავებ. ყველაფერზე ვფიქრობ, მეშინია, ვალში არ ჩავვარდე, ბანკები კი გაიძახიან, მოდით, მოგემსახურებით, გამოიტანეთ სესხი და საქმე დაიწყეთო, მაგრამ მთლად ასე იოლად როდია საქმე. იქ მიხვალ და, იმდენ საბუთს მოგთხოვენ, რომ თავგზა აებნევა კაცს. ჯერ სესხის გამოტანაზე გაგაწვალებენ, მერე პროცენტის გადახდა ყოველთვიურად ძალზე ძნელია.

იხ. 8 გვ.

გლობუსი

# ნოყიერი ნიადაგი მზად არის!

პალესტინის ავტონომიაში საყოველთაო არჩევნების შედეგად შექმნილმა აურზაურმა, სერიოზულმა ფინანსურმა პრობლემებმა, საერთაშორისო არენაზე ჰამასისათვის ამერიკის ადმინისტრაციის მიერ შექმნილმა ნეგატიურმა იმიჯმა, პალესტინის მთავრობასა და პრეზიდენტ მაჰმუდ აბასის დაპირისპირებამ, სხვა მრავალმა მსხვილმანმა თუ წვრილმანმა პრობლემამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა პალესტინელთა ერთმანეთთან დატაკებისათვის.

მოკრძალებული ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც, როგორც იქნა მიიღო პალესტინის ავტონომიამ, საკმარისი არ გამოდგა ბოთლიდან გამოდევნილი ჯინის უკან ჩასაბრუნებლად. არც საუდის არაბეთის ეგიდით გამართულმა შეხვედრამ უშველა საქმეს. საუდის არაბეთში დაპირისპირებული პალესტინური მხარეები შეთანხმდნენ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერ რიადის ავტორიტეტულმა ხმამ ვერ უშველა სიტუაციას.

ერ რიადის შეხვედრამდე პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტის მაჰმუდ აბასისათვის მთავარი ამოცანა, ეროვნული ერთიანობის მთავრობის ჩამოყალიბება იყო. თითქოს პალესტინელთათვის ეს მეტად რთული ამოცანა წარმატებით გადაწყდა, მაგრამ დროებით. საბოლოოდ პალესტინელებს ერთიანობის გრძნობამ უმტყუნათ.

ერთი წლის წინათ მაჰმუდ აბასი აცხადებდა, რომ: „პალესტინის ხელისუფლება პოლიტიკური ვითარების განვითარების მრავალ ვარიანტს იხილავს ერთის გარდა — სამოქალაქო ომის გაჩაღების“.

აბასი შეცდა. ის რაც დღეს ღაზის სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე ტრიალებს, შორს არის ნორმალური ვითარებიდან და ყველა ნიშნით სამოქალაქო ომის მომასწავებელია. ჰამასის შეიარაღებულმა ფორმირებებმა სრული კონტროლი დაამყარეს ღაზის სექტორზე. მოწინააღმდეგე ფათეჰის მებრძოლები დააპატიმრეს. ბევრი მათგანი საზღვარგარეთ გაიქცა.

დასავლეთ სანაპიროზე ავტონომიის პრეზიდენტის მაჰმუდ აბასის მიერ ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნა, ხოლო ღაზის სექტორში გამაგრებული ჰამასის ერთ-ერთი ლიდერის პრემიერ-მინისტრ ისმაილ ჰანიას მიერ გაკეთებული განცხადება, რომ არ აპირებს პოსტის დატოვებას, ნათლად მიგვანიშნებს პალესტინის ავტონომიის ორად გაყოფაზე.

ავტონომიაში მიმდინარე პროცესებს შორიდან უყურებს ისრაელი. მისთვის შიდა დაპირისპირება, თუ ის არ შეეხება ისრაელს, მისაღებიც არის. ერთმანეთთან ბრძოლაში გართულ პალესტინელებს ნაკლები დრო დარჩებათ ისრაელის ქალაქებისათვის კასამის რაკეტების დაშენისათვის.

რაც შეეხება ამერიკელებს, მათი ნეგატიური დამოკიდებულება ჰამასისადმი იმდენად ძლიერია, რომ ყველაფერს მოიმოქმედებენ ჰამასის ხელისუფლებიდან ჩამოშორებისათვის. ამას წინათ აშშ-ს გენერალურმა კონსულმა მოინახულა პრეზიდენტი აბასი და უთხრა, რომ საგანგებო მთავრობის ჩამოყალიბებისთანავე ვაშინგტონი მოხსნის ფინანსურ ყადაღას და უწინდებურად მაჰმუდ აბასი მიიღებს ფულად დახმარებას. საგანგებო მთავრობა უმალ ჩამოყალიბდა. ფულს დასავლეთის სანაპირო მიიღებს. ღაზის სექტორი უფულოდ რჩება.

ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ისე, როგორც წინათ, დღესაც მიიჩნევს, რომ პალესტინელთა საკითხის მოწესრიგებას პალესტინის საკანონმდებლო ორგანოს ახალი არჩევნები თუ უშველის. მუბარაქის მიხედვით პალესტინელთა



ეროვნული ერთიანობა აუცილებელი პირობაა ისრაელთან სამშვიდობო პროცესის აღდგენისათვის. ეგვიპტის პრეზიდენტის სურვილი დღეს ერთობ არარეალურად მოსჩანს. ვიდრე პალესტინელები არ მოაგვარებენ ერთმანეთს შორის მწვავე ურთიერთობას, საერთაშორისო დიალოგისათვის საუბარიც ზედმეტია.

შეძლებენ ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხარეები წლების განმავლობაში დაგროვილი უნდობლობისა და წყენის გადალახვას? ძნელი სათქმელია.

ისლამის წინააღმდეგობის ორგანიზაცია ჰამასი 1987 წელს დააარსა შეიჰ აჰმედ იასინმა. თავის დროზე ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს ისრაელმა და აშშ-მა. მათი მიზანი იყო ჰამასის დაპირისპირება მეორე პალესტინურ ორგანიზაციასთან, რომელსაც სათავეში ედგა იასირ არაფატი. მოგვიანებით ჰამასისა და ისრაელ-აშშ-ს გზები გაიყო. ისინი სერიოზულად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ჰამასის იდეოლოგიის ძირითადი კურსი პალესტინის სახელმწიფოს შექმნისაკენ არის მიმართული. ერთიანი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილად ის ტერიტორიაც მოიაზრება, რომელზედაც დღეს ისრაელის სახელმწიფოა. ორგანიზაციას ორი ფრთა აქვს — პოლიტიკური და სამხედრო. პოლიტიკური ფრთა სერიოზულად არის დაკავებული სოციალური საკითხების მოგვარებით, სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობით, კულტურული ღონისძიებების მოწყობით, ღარიბთა დახმარების ფონდების ჩამოყალიბებით და სხვა. ჰამსის ყოველწლიური ბიუჯეტი 30 მილიონ დოლარს შეადგენს. მთავარი სპონსორები არიან: ირანი, სუდანი, სპარსეთის ყურის ქვეყნები. 1989 წელს ისრაელმა აკრძალა ჰამასის სამხედრო ფრთის არსებობა და 100-ზე მეტი აქტივისტი დააპატიმრა. მათ შორის შეიჰი აჰმედ იასინიც, რომელსაც სამუდამო პატიმრობა არგუნა, თუმცა 1997 წელს გაანთავისუფლა. იმავე წელს ისრაელის სარაკეტო თავდასხმაში მოყოლილი იასინი დაიღუპა.

ჰამასის დღევანდელი ხელისუფლება არ იზიარებს ამერიკულ მშვიდობიან „საგზაო რუკას“. 2006 წლის 25 იანვარს ჰამასმა პირველად მიიღო მონაწილეობა 132-ადგილიან პალესტინის პარლამენტის არჩევნებში და 74 ადგილი მოიპოვა.

გამარჯვების შემდეგ, მიუხედავად აშშ-სა და ისრაელის წინააღმდეგობისა, ჰამასის ხელმძღვანელობა მოსკოვში იყო მიწვეული კონსულტაციებისათვის. პუტინმა განაცხადა, რომ ის პატივს სცემს პალესტინელი ხალხის არჩევანს.

ჰამასის ღაზის სექტორში გამარჯვებამ სერიოზული პრობლემები გაუჩინა ისრაელს. ჰამასს დიდ დახმარებას უწევს ირანი-ისრაელის დაუძინებელი მტერი. ჰამასის ღაზის სექტორს ისრაელი ისე განიხილავს, როგორც დაპირისპირებულ სირიას. ჯერჯერობით, ისრაელი არ ერევა პალესტინის შიდა პროცესებში, მარრამ მხოლოდ ჯერჯერობით, ღაზის სექტორიდან მცირედი გამოხდომაც კი შეიძლება სერიოზული საბაბი გახდეს ახლო აღმოსავლეთში ახალი ომის დაწყებისათვის. ომის დაწყებისათვის ნოყიერი ნიადაგი უკვე მომზადებულია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

** იგი მუშაობდა ბავშვთა აგრესიის პრობლემებზე და განუხრელად იცავდა თეზისს: ბავშვი თავისი ბუნებით კეთილი, მიმნდობი, ცნობისმოყვარეა. იგი აგრესიული არ იბადება. ასეთი ხდება მთელ რიგ გარემოებათა შედეგად**



№ 115. ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

◎ პროფესია

# მედეა დემეტრაშვილი: ადვოკატობა პროფესია კი არა, მოწოდება, ღვთით ბოძებული ნიჭია



**თქვენს საადვოკატო პრაქტიკაში ხშირად თუ შეგხვედრიათ ეთნიკური ხასიათის პრობლემები? — ასეთი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სემინარზე დასმული ერთ-ერთი მთავარი კითხვა.**

— ეს ბუნებრივია, — გვითხრა ეთიკის კომისიის წევრმა მედეა დემეტრაშვილმა. — თავად განსაჯეთ: ადვოკატს ხომ ძალზე ხშირად უწევს მუშაობა უაღრესად რთულ, ხშირად მრავალტომიან საქმეებში. მისთვის უმნიშვნელოვანესია დაიცვას ადამიანი, მისი საკუთრების უფლება, გადაარჩინოს, იხსნას საპყრობილისგან, დააბრუნოს საზოგადოებაში. აქ არ გამოდგება პოსტულატი: „მიზანი ამართლებს საშუალებებს", რადგან ვექილმა თვითონ არ უნდა დაარღვიოს ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსი. ვისაც ერთხელ მაინც მიუმართავს ადვოკატისთვის, დარწმუნებულა, რომ ეს უბრალოდ პროფესია კი არა, მოწოდება, ღვთით ბოძებული ნიჭია.

მოდით, ერთად გადავხედოთ, თუ რით უნდა იხელმძღვანელოს ადვოკატმა თავისი პროფესიული საქმიანობის დროს. მან უნდა დაიცვას შემდეგი ძირითადი პრინციპები: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალურობა, კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტი, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიურობა.

თვით მედეა დემეტრაშვილი უკვე კარგა ხანია ადვოკატად მუშაობს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მიზნისკენ მთელი ცხოვრების განმავლობაში მიილტვოდა. მან ჯერ პედაგოგიური ინსტიტუტი დაასრულა და ბავშვის ფსიქოლოგის დიპლომი მიიღო.

ზოგიერთი მშობელი, ან იქნებ მთელი საზოგადოებაც, კარგად რომ არ იცნობს ბავშვის ფსიქოლოგიის საფუძვლებს, აგრეთვე ის, რომ ხშირად ვერ ვახერხებთ სწორად მივუდგეთ მოზარდს, მის სულიერ სამყაროს, არის კიდეც ყველა დანაშაულის სათავე, — დარწმუნებულია ქალბატონი მედეა. სწორედ მედეა დემეტრაშვილი იდგა სკოლამდელ დაწესებულებებში ფსიქოლოგიური სამსახურის დაფუძნების სათავეებთან. იგი მუშაობდა ბავშვთა აგრესიის პრობლემებზე და განუხრელად იცავდა თეზისს: ბავშვი თავისი ბუნებით კეთილი, მიმნდობი, ცნობისმოყვარეა. იგი აგრესიული არ იბადება. ასეთი ხდება მთელ რიგ გარემოებათა შედეგად. ეს გარემოებები სხვადასხვაგვარია: გაუთავებელი სკანდალები შინ, მშობელთა განქორწინება, დამცირება და შეურაცხყოფა სკოლაში. შედეგი კი ერთია: ბავშვი ხდება აგრესიული, სურს გამოუცხადოს ომი ყველას და ყველაფერს. იგი ხვდება ნარკომანიის, პროსტიტუციის სამყაროში. და მედეა დემეტრაშვილს, როგორც ბავშვთა ფსიქოლოგს, ძალზე ხშირად უწევს მათი გამოხსნა.

მედეა გრძნობდა, რომ მას სჭირდებოდა სპეციალური იურიდიული განათლება, თუმცა უკვე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამაში და კარგად ერკვეოდა იურიდიულ კანონებში. მას დიდი დახმარება გაუწია მეუღლემ — ცნობილმა მეცნიერმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა.

იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, მედეა უძღვებოდა სტუდენტების სასამართლო პრაქტიკას თბილისის სასამართლოებში. უკვე მტკიცედ იცოდა, რომ მხოლოდ ადვოკატის საქმიანობა იყო მისი მოწოდება. ერთ საქმეს მეორე მოჰყვა, დაგროვდა გამოცდილება. აი, უკვე ორი წელია რაც შეიქმნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, რომელსაც ადვოკატი კახა ასლანიშვილი ხელმძღვანელობს.

— მედეა იყო საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კომისიის წევრი, — გვითხრა ბატონმა კახამ. — იგი ძალზე აქტიური, ენერგიული ადამიანია, არასდროს არ კმაყოფილდება მიღწეულით. ქალბატონი მედეა იყო ეთიკის საკითხთა სემინარის გამართვის ერთ-ერთი ინიციატორი.

**— მედეა, როგორც ადვოკატი, რა საქმეებს უძღვებით?**

— უმეტესად ეს სამოქალაქო საქმეებია. ჩემს უდიდეს დამსახურებად მიმაჩნია, როცა განქორწინების პროცესების დროს შესაძლებელი ხდება მეუღლეების დარწმუნება, რომ არ გადადგან ასეთი ნაბიჯი. ეს ხომ ბავშვს გადაარჩენს ქუჩისგან, აგრესიისგან, დანაშაულისგან. ყოველივე ამას ხომ ყველაზე ხშირად ვხვდებით განქორწინებულ ოჯახებში.

**— თქვენს ოჯახზე რას გვეტყვით?**

— ორი შვილი მყავს, ქალ-ვაჟი. მთელ თავისუფალ დროს მათ ვუთმობ. ერთად დავდივართ ბაირონის სახელობის სკოლაში, საცურაო აუზზე, ცეკვაზე. ჩემს ყველაზე დიდ მიღწევად ჩვენს ერთსულოვან ოჯახს მივიჩნევ.

**გალინა ჩიქოვანი**

◎ მეწარმეობა

# მცირე ბიზნესი უნდა გააქტიურდეს, მაგრამ, როგორ?

**(მეშვიდე გვერდიდან)**

აი, უპროცენტო სესხი რომ იყოს, თუნდაც ორი-სამი თვით, ძალიან კარგია. საქმის წამოწყებას და რაიმე მოგების მიღებას ორ-სამ თვეზე უფრო ადრე ვერც ერთი მეწარმე ვერ მოახერხებს და პროცენტი საიდან გადავიხადოთ? თუნდაც საგადასახადო სისტემა ავილოთ, თითქოს გადასახადების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ სინამდვილეში მოსაკრებელი ისევ ბევრია, თანაც იმდენად რთულია ამ გადასახადებში გარკვევა, რომ კაცმა ერთი პროფესიონალი ბუღალტერი უნდა დაიქირავო. რა მოხდება, რომ იყოს ერთი ფიქსირებული გადასახადი და ადამიანი იოლად მიხვდება, რა აქვს გადასახდელი. პრეზიდენტი მოუწოდებს მთავრობას, გაამარტივეთ გადასახადებიო, მაგრამ ამ მოახოვნას არ ასრულებენ. არადა, მცირე და საშუალო მეწარმეობა ქვეყნის ხერხემალია. ახლა ბიუჯეტში შესატან თანხებს დაეძებენ და თუ მცირე მეწარმეს სათანადოდ შეუწყობენ ხელს, თანხების მობილიზება სწორედ ფეხზე დამდგარი, მოძლიერებული საწარმოებიდან შეიძლება.

**დანიელ რუხაძე:** „ადრე მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთ საწარმოში ვმუშაობდი — საგალანტერიო ნაწარმს ვუშვებდით, პროდუქცია საქართველოშიც საღდებოდა და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდანაც გვქონდა მოთხოვნა. ეს კარგი კავშირები არ უნდა დარღვეულიყო. მაინც ვერ გამიგია, უბრალო აბრეშუმის ბაფთა ანდა რეზინი, თუნდაც სამზარეულოს მოჩითული ფარდები თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან რატომ უნდა შემოგვქონდეს? ჩვენ ხომ შეგვიძლია, თუნდაც მცირედი ასორტიმენტის პროდუქცია ვაწარმოოთ და სხვას არ შევყურებდეთ ხელებში?!.

**ნაირა გვენეტაძე:** „მცირე ბიზნესი ქვეყანაში სოციალური წონასწორობის შენარჩუნების უაღრესად ქმედითი ბერკეტია. დამერწმუნეთ, მე თვითონ ეკონომისტი ვარ და ასე თუ ისე გამეგება, რომ საშუალო ფენის ჩამოყალიბებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ბიუჯეტი მოწინავე ქვეყნებში სწორედ საშუალო ფენის მიერ გამომუშავებული თანხებიდან გადასახადების გადახდით ივსება. აი, თუნდაც, ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ ვბაძავთ, ერთი მოიკითხოს ჩვენმა მთავრობამ, იქ როგორ ზრუნავენ საშუალო ფენის ჩამოყალიბებაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აშშ-ში ძირითადი წარმმართველი ძალა საშუალო ფენაა, ქვეყნის ეკონომიკა სწორედ მისგან მიღებულ შემოსავლებს ეყრდნობა. ჩვენთან კი გაიძახიან ბიუჯეტი გავზარდეთო, მაგრამ ეს ხალხის ცხოვრებაზე ხომ უნდა აისახებოდეს? ცხოვრების დონე თუ გაუმჯობესდება, მეწარმეები სულს მოითქვამენ და არაერთ და ორ ბიზნესს წამოიწყებენ. ჩვენთან კი ყველაფერი გაძვირდა, ორი წლის წინათ თუ ორსამ თავ წამალში 15 ლარს ვიხდიდი, ახლა 35 ლარიც არ არის საკმარისი. შუქისა და გაზის გადასახადი ხომ ყველას ერთიანად გვახრჩობს.



**ავთანდილ ნიორაძე:** „პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა წარმატებული იყოს, მაგრამ ამისათვის ბევრი ხელშეწყობაა საჭირო. ხალხი შრომობს რაც შეუძლია, მაგრამ საკმარის ანაზღაურებას ვერ ღებულობს, მცირე შემოსავლებით კი ბიზნესის წამოწყება შეუძლებელია. ისე, ბევრჯერ მომისმენია რადიოთი, ტელევიზიით, რომ ყოველდღიურად ახალი კომპანიები გადიან რეგისტრაციას და ფუძნდებიან, მაგრამ რეალურად რა პროდუქციას ქმნიან, ეს ვერ მოვისმინე. ისე, მე პირადად მივესალმები ნებისმიერი ახალი საწარმოს შექმნას, რადგან ქვეყანაში, სადაც არაჩვეულებრივი ნიჭისა და გაქანების ადამიანები ცხოვრობენ, დროს არ უნდა ჩამორჩნენ და მაღალი სტანდარტების მცირე საწარმოები უნდა შეიქმნას, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკას წინ წასწევენ და ხალხის მდგომარეობასაც გააუმჯობესებენ.

**ლალი ქინქლაძე**

◎ ინფორმაცია

## საქართველოში რადიაციული ექსპერტიზის ლაბორატორია ამოქმედდა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი რადიაციული ექსპერტიზის ლაბორატორია, ამოქმედდა რომელიც ამიერკავკასიის რეგიონს მოემსახურება.**

**რადიაციული გამოკვლევები შესაძლებელია ჩატარდეს: ჰაერზე, ნიადაგზე, ზედაპირულ წყლებსა და ნალექზე, კვების პროდუქტებზე, ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებზე, ფარმაცევტულ და პარფიუმერულ ნაწარმზე, ნავთობპროდუქტზე, სამშენებლო მასალაზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე, თამბაქოს ნაწარმზე, ლითონის ჯართზე და სხვა.**

**თანამედროვე სტანდარტების რადიაციული ექსპერტიზის ლაბორატორიის აღჭურვაში საქართველოს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო დაეხმარა. ლაბორატორიაში რადიაციული დაბინძურების საკვლევი გამასპექტრომეტრი და სხვა მაღალი დონის აპარატურა დამონტაჟდა და აპრობაცია გაიარა.**

**სტაციონარულ დანადგარებზე ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების გარდა, ბიუროს გასვლითი კვლევების შესაძლებლობაც აქვს.**

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვის გარდა, ქართულ მხარეს ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებაშიც დაეხმარა. ქართველმა ექსპერტებმა სპეციალური სწავლება გაიარეს ბუქარესტში, მინსკსა და კიევში.**

**ინტერპრესნიუსი**

# ვინ როგორ ხედავს

*ვერ გეტყვით, რამდენად ცნობილი ისტორიკოსია საიმონ სიბაგ მონთეფიორი – ეგ ჩვენს სპეციალისტებს უკეთ ეცოდინებათ – ერთი კია, რომ „ახალ დოკუმენტებზე" ფრიად გამახვილებული ჰქონია ყნოსვა თუ გეში. გასაკვირია, საქართველოს სახელმწიფო არქივში ეს „ახალი დოკუმენტები" თუ ეწყო, რაღა ინგლისელი ისტორიკოსის ჩამოსვლას ელოდა, არქივის თანამშრომლებს და ჩვენს იტორიკოსებს არ უნდა სცოდნოდათ? ვინმეს ხომ უნდა დაეკვალიანებინა მონთეფიორი და „მიექსია" ამ მასალაზე?*




**უცხოური პრესა**

# ახალგაზრდა ტირანის პორტრეტი

*დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა ცნობილი ისტორიკოსის საიმონ სიბაგ მონთეფიორის წიგნი „ახალგაზრდა სტალინი", რომელიც ეფუძნება ახალ დოკუმენტებს. ავტორმა ისინი საქართველოს სახელმწიფო არქივში აღმოაჩინა.*

*მონთეფიორის ახალი ნაშრომი თრილერივით იკითხება. ეს აკადემიური ბიოგრაფია არ გახლავთ – ახალგაზრდა სტალინის ცხოვრებისეული პრინციპების გამოკვლევაა. გარდა ამისა, საარქივო მონაპოვრები გვაძლევს იმის გაგების საშუალებას, თუ როგორ გადაიქცა რომანტიკული პოეტი და სემინარისტი ფანატიკურ რევოლუციონერად და დამნაშავედ. ავტორი გვიჩვენებს სტალინური პოლიტიკური ტერორიზმის ფსიქოლოგიურ საწყისებსაც – ისტორიკოსი ამას ხედავს ახალგაზრდა სტალინის ბანდიტურ გმირობებში, იმაში, რომ იგი ძარცვებს, რეკეტსა და მკვლელობებს რევოლუციის ინტერესებით ამართლებდა.*

## დედა

წიგნს მონთეფიორი იწყებს სტალინის ბიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ბნელი ადგილის გაშუქების ცდით – ეს არის მისი წარმოშობის პრობლემა. საკითხის გადაწყვეტაში ავტორს ეხმარებიან, კერძოდ, სტალინის დედის კეკე ჯუღაშვილის მოგონებები, 1935 წლის აგვისტოში მისივე მონათხრობით ჩაწერილი და 70 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო არქივში დადებული, სანამ მათ იქ ინგლისელი ისტორიკოსი არ ამოიკითხავდა. გორში ბოროტი ენები ირწმუნებოდნენ, თითქოს მეუღლე მთვრალი მეწაღე ბესო ჯუღაშვილი სულაც არ ყოფილა სტალინის ნამდვილი მამა და ასახელებდნენ სამ ყველაზე სავარაუდო კანდიდატს: იაკობ ეგნატაშვილს, დამიანე დავრიშევსა და მღვდელ ქრისტეფორე ჩარკვიანს.

მონთეფიორი წერს: „ეგნატაშვილი იყო ჯუღაშვილის ოჯახის ნამდვილი პატრონი – ცოლის მანუგეშებელი და ვაჟის სპონსორი. ცოლიანიც გახლდათ და შვილიანიც. ეს იყო რამდენიმე დუქნის შეძლებული მფლობელი და სირაჯი. გარდა ამისა, არაჩვეულებრივი ათლეტიც გახლდათ, კრივაზურაში და ჭიდაობის ჩემპიონი. კეკე თავის ჩანაწერებში იუწყება, რომ „ის ძველებური ცოდნებისა ოჯახის შეძლებისდა ხელიდან დახმარებას". საეჭვოა, რომ ეს პირდაპირი აზრით თქმა – თუმცა ვინ იცის, ეგების შეფარული ფორმით რაღაცის გამხელა სცდილობდა?

მეორე პოტენციური მამა იყო გორის პოლიციის მთავარი დავრიშევი, რომელიც ეხმარებოდა კეკეს, როცა ის ქმრის გაუთავებელ ლოთობას უძლებდა. „რამდენადაც ვიცი, – ვუთხრობდა პოლიციის შეფის შვილიშვილი – სოსო იყო დავრიშევის შვილი. გორში ყველამ იცოდა მის კავშირზე სოსოს მხიარულ დედასთან".

სტალინმა თავად თქვა 1934 წლის ერთ-ერთ მიღებაზე, რომ მისი ნამდვილი მშობელი მღვდელი გახლდათ. ასეთ განცხადებას მესამე კანდიდატთან – მამა ქრისტეფორესთან მივყავართ. სამივე ცოლიანი იყო, მაგრამ ქართული მაჩოური კულტურა გულისხმობდა და არ კრძალავდა მამაკაცისათვის საყვარლების ყოლას. ლეგიონსახური გორში გამონაკლისი როდი იყვნენ. ყველა ისინი ქალაქში ცნობილ ადამიანებად ითვლებოდნენ და ეკუთვნოდნენ სანდომიან სხვათა ცოლებს, რომლებსაც შესაბამისი ჰქონდათ... კიდევ ერთი მიზეზი ახლა მღვდელი მამის თაობაზე ვერსიის გამოჩენაა: იმ სემინარიაში, სადაც სოსო ჩაირიცხა, მხოლოდ მღვდლების შვილებს იღებდნენ, ამიტომაც ამტკიცებდა დედამისი, რომ ბიჭი მისიც, როგორც მღვდლის შვილი.

ავტორი გვიმხელს, რომ დედასთან სტალინს საკმაოდ გულცივი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა. რეგულარულად კი სწერდა ბარათებს, მაგრამ ახლოს არ იკარებდა. მონთეფიორი ფიქრობს, რომ მიზეზი ხასიათების მსგავსებაში უნდა ვეძიოთ – კეკე ერთადერთი ადამიანი იყო საბჭოთა რუსეთში, რომელსაც შეეძლო სტალინთან თავის თავისთვის მიეცა ხმამაღლა განცხადების უფლება: „არ მესმის, რატომ ვერ გაუყვია ჩემს შვილს ძალაუფლება ტროცკისთან". სტალინი ვერ მოითმენდა ასეთ დემოკრატიულობას, წერს ისტორიკოსი. როცა კეკე 1936 წელს უკანასკნელად მოინახულა, თქვა – ვაიმე, რომ მღვდელი არ გახდაო, რამაც სტალინი გაამხიარულა. კეკე რომ 1937-ში გარდაიცვალა, შვილი დაკრძალვაზეც არ ჩასულა, მხოლოდ გვირგვინი გაგზავნა ასეთი წარწერით: „ძვირფას და საყვარელ დედას შვილის იოსებ ჯუღაშვილისაგან".

## ძარცვები

წიგნი „ახალგაზრდა სტალინი" იწყება ტფილისის ცენტრალურ მოედანზე სახელმწიფო ბანკის ორი კარეტის იმ ცნობილი შეიარაღებული გაძარცვის აღწერით, რომელიც 1907-ის ივნისში მოხდა 29 წლის სტალინის. 20-წევრიანი (მათ რიცხვში იყო სამი ქალიშვილი კაბებს შიგნით დამალული მაუზერებით) საბრძოლო ჯგუფის მეთაურად სტალინის დიასახლისმა გამოაცხადა, ბანკის მოლარის ბიძის ტერ-პეტროსიანი, ფეხსაცმლეს ყავდა. ბანდიტებმა ბომბები ისროლეს და გაიტაცეს 250 ათასი რუბლი (ამჟამინდელი კურსით 4 მილიონ დოლარზე მეტი). ამ თანხის 80 პროცენტი ლენინს გადაეცა საზღვარგარეთ, 20 პროცენტი ბანდიტური საქმიანობის გაგრძელებას მოხმარდა. მონთეფიორი ყვება, თუ როგორ ეწეოდნენ სტალინის ბოევიკები გამოძალვასა და ადამიანთა გატაცებას, არც ყაჩაღობას თაკილობდნენ, ოღონდ კი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ხაზინა შევსილიყო.

დიდი ხანია ეჭვობდნენ ბანდიტურ ძარცვებში სტალინის მონაწილეობას, მაგრამ ისტორიკოსებს არ ჰქონდათ პირდაპირი მტკიცებულებანი. მონთეფიორმა მოსჩხრიკა მათი მინიშნება თბილისისა და მოსკოვის არქივებში. ბოლშევიკი „თეთრი პროფესიული კატეგორიის ბოლსიან" ბანდიტური თავდასხმებში (იმით მეთაურად), რომ სტალინი გარიცხეს რსდმპ-იდან ექსპროპრიაციებისთვის და პარტიის დარღვევებისათვის, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, შეიწყნარა ცენტრალურმა კომიტეტმა. როცა ბოლშევიკები ხელისუფლებაში მოვიდნენ, მენშევიკების წინამძღოლმა იული მარტოვმა 1918 წელს გამოაქვეყნა სტატია, სადაც სტალინის ბანდიტობის სამი შემთხვევა მოიყვანა – ტფილისში ის განმაპაუებული თავდასხმა, ბაქოში მუშის მკვლელობა მეკობრეობა (სტალინის ჯგუფმა ბაქოშივე გემი „ნიკოლოზ I" დაიპყრო). მარტოვი წერდა, რომ სტალინს არა აქვს სახელმწიფო პოსტების დაკავების უფლება, ვინაიდან 1907-ში პარტიიდან იყო გარიცხული. მაშინ გამოირკვა, რომ სტალინი მართლაც იყო პარტიიდან გარიცხული, ოღონდ არა ცენტრალური კომიტეტის მიერ, არამედ ტფილისის ძირეული ორგანიზაციისა. სტალინი განრისხდა და ამტკიცებდა, რომ ეს გარიცხვა უკანონო იყო, რამდენადაც ტფილისშიც და ბაქოშიც რსდმპ-ის ორგანიზაციებს მენშევიკები აკონტროლებდნენ. მარტოვს ის დაემუქრა რევოლუციური ტრიბუნალით და მაინც, მაშინ იძულებული გახდა, რომ ძველი ბოლშევიკების გამოსარჩლებებით ესარგებლა.

## კავშირები ოხრანკასთან

„ახალგაზრდა სტალინის" ავტორი დარწმუნებულია, რომ ბანდიტ-ტერორისტის ჩვევები სტალინმა გამოიყენა პარტიისა და სახელმწიფოს ლიდერის პოსტზე. „ოგონიოკისათვის" მიცემულ ინტერვიუში ის აღნიშნავს:

– სტალინი ყოველთვის იქცეოდა, როგორც შეთქმული. ქართველი განქსტერების ბოსად ყოფნის წლებმა მთელ მის პოლიტიკურ აზროვნებაზე მოახდინა გავლენა. უკვე მაშინაც სტალინს სჭირდა პარანოიდალური ეჭვიანობა და ოხრანკასთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი პარტიის წევრის მოკვლის სანქცირება დაუშვა. ჯერ კიდევ გორში მან ჩამოაყალიბა ბავშვთა საიდუმლო ჯაშუშური ქსელი.

– თუ შეძელით არქივებში მეფის ოხრანკასთან სტალინის თანამშრომლობის რაიმე ნიშნების მიგნება, რასაც ზოგიერთი ისტორიკოსი ვარაუდობდა?

– არა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსეთისა და საქართველოს არქივები გულმოდგინედ გამოიკვლიეს ეჟოვმა და ბერიამ. იქ გინდაც რომ შემონახულიყო სტალინის მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები, დიდი ხნის ამოღებული იქნებოდა. და მაინც, ჟანდარმერიასთან სტალინის კონტაქტების ირიბი დამოწმებები არის. მაგალითად, სტალინის პარტიული თანამოლვაწე რაჟდენ არსენიძე ამტკიცებდა, რომ სტალინი ჟანდარმებს გადასცემდა პარტიის იმ წევრთა მისამართებს, ვინც მას არ ეთანხმებოდა. ბაქოს საქმეების მიხედვით, სტალინის სხვა თანამოსაგრე ურატაძე ადასტურებს, რომ ბაქოელმა ბოლშევიკებმა სტალინს ბრალი დასდეს პოლიციისათვის შაუმიანის პოზიციების გაცემაში. ნოე ჟორდანია ამტკიცებდა კიდევაც, თითქოს შაუმიანმა თავად უთხრა, სტალინის გარდა არავინ არ იცოდა ჩემი კონსპირაციული ბინის მისამართიო. სამივე მამხილებელი შემდგომ ემიგრაციაში მოხვდა.

## ქალები და შვილები

ინგლისელი ისტორიკოსი დაწვრილებით იკვლევს ახალგაზრდა სტალინის პირად ცხოვრებასა და იმ მრავალრიცხოვან რომანს, რომლებზეც გენერალისიმუსის თანამედროვეებმა არაფერი არ იცოდნენ. კატო სვანიძე, პირველი ცოლი, სტალინმა 1907-ის ივნისში მოიყვანა. მასთან სულ 16 თვე იცხოვრა: კატომ ვაჟი იაკობი გაუჩინა და 22 წლისამ ტიფით დალია სული. სტალინს ის სიგიჟემდე უყვარდა. შესაძლოა, კატო ხალხთა მამის ერთადერთი ნამდვილი სიყვარული იყო. მონთეფიორი, ქალის ნათესავთა დამოწმებით (პრაქტიკულად ყველანი დაიღუპნენ 1930-იან წლებში), აღნიშნავს, რომ ცოლის დაკრძალვის დროს გონებადაბნელებული სტალინი, როცა კუბო საფლავში ჩაუშვეს, იქ ჩახტა და ძლივს ამოიყვანესო.

მისი პირველი შვილი იაკობ ჯუღაშვილი კატოს დედამ გაზარდა. მამა ვაჟს ძალიან იშვიათად ნახულობდა საქართველოში. ომის დროს იაკობი ტყვედ ჩავარდა. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით, გერმანელები მის გაცვლის წინადადებას იძლეოდნენ სტალინგრადში დატყვევებულ ფელდმარშალ პაულიუსზე. მშობელმა უარი განაცხადა, ჩათვალა რა შვილი მოღალატედ.

სტალინი, თუ მონთეფიორის წიგნის მიხედვით განვსჯით, სიყვარულით სავსე მამაკაცი გახლდათ, რაღაც ქართველი კაზანოვას მსგავსი. მის მრავალრიცხოვან საყვარელთა შორის სულ სხვადასხვა ასაკისა და წოდების ქალებს ვხვდებით – 16 წლის გიმნაზისტი პელაგია ონუფრიევადან დაწყებული, რომელიც სტალინთან ვოლოგდაში ცხოვრობდა, ბევრი აზნაური ქალითა და გლეხის გოგოთი დამთავრებული. ერთ-ერთ მათგანზე, სტეფანია პეტროვსკაიაზე, ოსიპ კობას – ამ სახელით იცნობდნენ სტალინს გადასახლებაში – დაქორწინებაც კი უნდოდა. მის მომხიბვლელობას ვერ უძლებდნენ როგორც პარტიელი თანამებრძოლი ქალები, მაგალითად, ვალენტინა ლობოვა, ვერა შვეიცერი ან ლუდმილა სტალი (წიგნის ავტორის ვარაუდით, საყვარლის გვარმა აფიქრებინა იოსებ ჯუღაშვილს ფსევდონიმად „სტალინის" აღება), ისე გლეხის გოგოებიც იმ ციმბირული სოფლებიდან, სადაც გადასახლებული სასჯელს იხდიდა. ორმა მისგან ვაჟები გააჩინა, რომელთაც მამა არასოდეს არ სცნობდა. ერთ-ერთი მათგანი გაუჩნდა სტალინის საყვარელს მარია კუზაკოვას უკვე იმის მერე, რაც პატიმარი სოლვიჩეგოდსკიდან გაიქცა. სტალინის ვაჟმა კონსტანტინე კუზაკოვმა დაამთავრა ლენინგრადის უნივერსიტეტი და ომამდე ფილოსოფიას ასწავლიდა ლენინგრადშივე, სამხედრო-მექანიკურ ინსტიტუტში. შემდეგ ანდრეი ჟდანოვის აპარატში მუშაობდა, რომელმაც იცოდა მისი წარმომავლობის შესახებ. მამამისს არასოდეს შეხვედრია და 1996 წელს გარდაიცვალა. ინგლისელ ავტორს მოჰყავს კონსტანტინე კუზაკოვის მონაყოლი მშობელთან შემთხვევით შეხვედრაზე: „ერთხელ როგორღაც სტალინი შეჩერდა, შემომხედა და მომეჩვენა, თითქოს რაღაცის თქმა სურდა. მინდოდა მიახლება, მაგრამ თავი შევიკავე. ჩიბუხი დამიქნია და გამშორდა".

სტალინის კიდევ ერთი უღიარებელი შვილის დედა 13 წლის ლიდია პერეპრიგინაა, რომელთანაც 34 წლის სტალინი ცხოვრობდა კურეიკაში, სადაც 1914-ში გადაასახლეს. 1930-იან წლებში ქალმა მოგონებები დაწერა ყოფილ საყვარელზე, რომლებიც არ გამოქვეყნებულა და ინგლისელი ისტორიკოსი გაეცნო.

„კურეიკაში ამ კავშირს მოთმინებით მოეკიდებოდნენ, მაგრამ ლიდია დაორსულდა და მისი ძმები გაბოროტდნენ, – წერს მონთეფიორი. – ადგილობრივი ჟანდარმები სისხლის სამართლის საქმის აღძვრით იმუქრებოდნენ და მხოლოდ სტალინის დაპირებამ, ლიდიას შევირთავ, როგორც კი აუცილებელი ასაკი დაუდგებაო, შეაჩერა სკანდალი... სტალინის ვაჟი ალექსანდრე, 1917 წელს დაიბადა, თუმცა მამა, უფრო ადრე გადასახლებიდან გაქცეული, „არ დახვედრია". ლიდიამ პარიკმახერობა დაიწყო იგარკაში და ოჯახიც შექმნა ადგილობრივ მეთევზესთან იაკობ დავიდოვთან ერთად, რომელმაც იშვილა მისი ბიჭუნა.

ხრუშჩოვისადმი წარდგენილ სუკის გენერლის სეროვის საიდუმლო მოხსენებაში ნათქვამია, რომ „სტალინი არასოდეს არ ეხმარებოდა ლიდია პერეპრიგინას". 1935-ში ალექსანდრე, რომელიც ფოსტალიონი გახდა, კრასნოიარსკში გამოიძახეს და მოსთხოვეს, როგორც კუზაკოვას ვაჟიშვილის შემთხვევაში, პირობის დადება, რომ თავისი წარმოშობის თაობაზე კრინტსაც არ დაძრავდა. ალექსანდრე დავიდოვმა იომა, ორჯერ დაიჭრა, მაიორი გახდა. ომის შემდეგ ნოვოკუზნეცკში მუშაობდა სასადილოს დირექტორად. სამი შვილი ჰყავდა – სტალინის შვილიშვილები. ალექსანდრე 1987-ში აღესრულა".

## მორალი

მონთეფიორი ფიქრობს, რომ უწესო სქესობრივი კავშირები ტიპური იყო რევოლუციონერთათვის მეფის რუსეთში და არც სტალინია გამონაკლისი. „ოგონიოკთან" ინტერვიუში განმარტავს:

– ეს რევოლუციონერების ცხოვრების ბუნებრივი სახე გახლდათ. ისინი მინიმალური ემოციური და ზნეობრივი ბარგით მიმოდიოდნენ ქვეყანაში. გადასახლებაში მრავალზე მრავალ ადამიანს ხვდებოდნენ – როგორც სხვა რევოლუციონერებს, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებსაც. ისინი არსებითად ყოველგვარი პირობითობისაგან იყვნენ თავისუფალი და მსუბუქად ეკიდებოდნენ ცხოვრებას. ეს გამომდინარეობდა რევოლუციონერთა მორალიდან, რომელიც რაღაცით კრიმინალური სამყაროს მორალს ჰგავდა, – პატივისცემის ღირსად ითვლებოდნენ ოდენ პარტიელი თანამოსაგრენი. სიყვარული, ოჯახი განდევნილი იყო ცხოვრებიდან, რომელიც მხოლოდ რევოლუციას უნდა მიძღვნოდა. იმას, რაც რევოლუციონერთა ყოფაქცევაში ჩვენ ამორალურად და დანაშაულებრივად გვეჩვენება, თვით მათთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა. რევოლუციონერები ერთადერთი ჟინით იყვნენ შეპყრობილი – ნებისმიერ ფასად ნგრევისა და გამარჯვებისა.

ინგლისელი ავტორის წიგნიდან იკვეთება რევოლუციური იატაკქვეშეთის გმირის სახე დანაშაულებრივი ჩვევებითა და ცხოვრებისა და ადამიანებისადმი ცინიკური დამოკიდებულებით. ახალგაზრდა სტალინი წარმოდგება დაზიანებული ფსიქიკის მქონე კაცად, რომელიც მოკლებულია სიყვარულისა და ოჯახური ცხოვრების გაწევის უნარს. მონთეფიორი ასე ახასიათებს თავის გმირს:

– ვფიქრობ, რომ სტალინის ემოციური სფერო სერიოზულად იყო დაზიანებული ჯერ კიდევ ადრეულ სიჭაბუკეში. ის ყოველთვის გამოირჩეოდა საოცრად სასტიკი საქციელით, არავის არ ენდობოდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე სტალინს შერჩა ლიდერობის კომპლექსი, წინამძღოლობისაკენ სწრაფვა. ის საკუთარ თავს იმ მესიანურ ფიგურად მიიჩნევდა, ვისი ცხოვრებაც მარქსისტულ ჯვაროსნულ ლაშქრობას ეძღვნება. ეს ვნება თრგუნავდა სტალინში ყველაფერ ადამიანურს.

**ნატალია გოლიცინა**, ლონდონი.

„ოგონიოკი", №22, 28. V-3.VI, 2007 წ.

თარგმნა თამაზ ებანოიძემ.

## *ბოლოთქმის ნაცვლად*

*სტალინის გარდაცვალებიდან (1953) რამდენიმე წელიწადში დიდ რუსეთში აგორდა ლაფში მისი სახელის მოსვრის ტალღა, რომელიც ფაქტობრივად ხრუშჩოვის ცნობილი „ანტიკულტური" მოხსენებით დაიწყო (1956) და დღემდე გორავს. ერთი ხანია ამ ტალღამ „ინტერნაციონალური" ამპლიტუდაც შეიძინა, რასაც ინგლისელი ისტორიკოსის ახალი წიგნის „მოკლე შინაარსიც" მოწმობს, რუსი ჟურნალისტის ენა-პირით „ოგონიოკის" ფურცლებზე მოწოდებული.*

*ვერ გეტყვით, რამდენად ცნობილი ისტორიკოსია საიმონ სიბაგ მონთეფიორი – ეგ ჩვენს სპეციალისტებს უკეთ ეცოდინებათ – ერთი კია, რომ „ახალ დოკუმენტებზე" ფრიად გამახვილებული ჰქონია ყნოსვა თუ გეში. გასაკვირია, საქართველოს სახელმწიფო არქივში ეს „ახალი დოკუმენტები" თუ ეწყო, რაღა ინგლისელი ისტორიკოსის ჩამოსვლას ელოდა, არქივის თანამშრომლებს და ჩვენს იტორიკოსებს არ უნდა სცოდნოდათ? ვინმეს ხომ უნდა დაეკვალიანებინა მონთეფიორი და „მიექსია" ამ მასალაზე? რა, კეკეს (გელაძე-ჯუღაშვილის) მოგონებები 70 წელი არქივში თუ იმტვერებოდა, ცხრამთასიქითელის აღმოსაჩენი რა სჭირდა? აქაური რატომ ვერავინ ვერ გადააწყდა? ან ქალბატონი ნატალია, რომ გვარწმუნებს, დიდი ხანი ეჭვობდნენ სტალინი ბანდიტური ძარცვების მონაწილე იყო, მაგრამ ისტორიკოსებს პირდაპირი მტკიცებულებანი არ გააჩნიათ, სანამ თბილისისა და მოსკოვის არქივებში არ აღმოაჩინა მონთეფიორიმო, კარგი, ვთქვათ, თბილისში „იდოყლაპიეს", მაგრამ დავიჯერო, მოსკოვში, იქაურმა ჩასაფრებულმა ანტისტალინელებმა ასეთი ლუკმა ინგლისელის ჩასაყლაპად შემოინახეს? ეგეც არ იყოს, მონთეფიორის რომ ათქმევინეს, რუსეთისა და საქართველოს არქივები ეჟოვმა და ბერიამ გულმოდგინეთ გამოიკვლიესო, – ასეთი მაკომპრომიტირებელი დოკუმენტები გამორჩებოდათ და „ცნობილ ისტორიკოსს" დაუტოვებდნენ?*

*არის კიდევ ერთი პრინციპული მომენტი: „ისტორიულად", როგორც ეს კარგად ცნობილია, დოკუმენტების განადგურებაც ხდება და გაყალბებაც. რატომ უნდა ვირწმუნოთ, რომ ინგლისელის მიერ რაღაც „სასწაულებრივი გეშით" მიგნებული თუ გამოჩხრეკილი და მანამდე სხვათაგან „გამოტოვებული" მასალები ნამდვილია და არა შეთხზული? რატომ არ უნდა ვთქვათ, რომ თბილისის ბანკის ძარცვის დროს „სტალინი თბილისში საერთოდ არ იმყოფებოდა, რომ არც ყბადაღებულ კამოს არ მიუღია მასში მონაწილეობა?*

*ეგებ „წვრილმანებზეც" გვეთქვა. მაგალითად, როგორ უთავსდება ერთმანეთს, ერთის მხრივ, სემინარიელი რომანტიკული პოეტი და მეორეს მხრივ, ადრეულ სიყმაწვილეში სერიოზულად დაზიანებული ფსიქიკა? როგორ არსებულა XIX საუკუნის გორში სპონსორობის (?) ინსტიტუტი და როგორ გვქონდა ქართველებს „მაჩოური კულტურა" და არც კი ვიცოდით; როგორ აუღია „ოსიპ კობას" საყვარლის გვარისაგან ფსევდონიმად „სტალინი", რომ თურმე სქესობრივი კავშირები ასეთ კვალიფიკაციასაც „ექვემდებარება" – უწესო და წესიერი და სხვა.*

*... ასეა თუ ისე, მოგვწონს ეს სქართველოში თუ არ მოვგწონს, გამოსულა კიდევ ერთი ბულვარული წიგნი სტალინზე, ამჯერად ინგლისურენოვანი. ჟურნალისტმა ნატალია გოლიცინამ ლონდონიდან და ჟურნალმა „ოგონიოკმა" მოსკოვიდან ეს ამბავი სიამოვნებით „გააჟღერეს". „ახალგაზრდა სტალინს" ახლა მთელ მსოფლიოში დაუწყებენ (ან უკვე დაუწყეს) კითხვას და გვგონია, რომ ეს ჩვენმა მკითხველმაც უნდა იცოდეს. მე კი დილეტანტური „საისტორიო" მსჯელობები უნდა მეპატიოს იმ იმედით, რომ ჩვენი ისტორიკოსები იტყვიან რამეს ამ საგანზე...*

*თ. ე.*

№ 115. ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე დააკავა პლუტონიუმ-ბერილიუმის რადიაქტიური ტვირთი, მაგრამ შემდეგ იგი აზერბაიჯანში დააბრუნა



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# უშიშროების დეკლარაცია?

***ბაქოში 19 ივნისს დასრულდა ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიისათვის ორგანიზაციის – სუამის სამიტი, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდავეთი.***

***ამ ქვეყნების ლიდერებმა (სამმა პრეზიდენტმა და მოლდავეთის პრემიერ-მინისტრმაძ მოაწერეს ხელი ბაქოს დეკლარაციას, რომელშიც, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ თანამშრომლობა სუამის ფარგლებში შეუწყობს ხელს რეგიონული კონფლიქტების დარეგულირებას. დეკლარაციაში მხარეებმა ასევე იკისრეს ვალდებულება განავითარონ სუამის რეგიონული პოლიტიკა, გაააქტიურონ ძალისხმევა სატრანსპორტო დერეფნის შექმნისა და გლობალური ენერგოუშიშროების განმტკიცებისათვის. დოკუმენტის ხელმომწერი მხარეები გამოთქვამენ ასევე რწმენას, რომ სუამის წევრ-სახელმწიფოთა ურთიერთმოქმედება შეუწყობს ხელს სამართლიანი გადაწყვეტილებების გამონახვას რეგიონული კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში. დოკუმენტი მოუწოდებს ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოების პარლამენტებს, რომ უმოკლეს ვადებში განახორციელონ წესდების რატიფიკაცია.***

***„ნოვიე იზვესტიამ“ სთხოვა საზღვარგარეთელ ექსპერტებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება სუამის სამიტის შედეგების შესახებ.***

**ალექსანდრე რარი – გერმანიის საგარეო პოლიტიკის საბჭოს რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების პროგრამათა ცენტრის დირექტორი, ბერლინი:**

– ევროპულ ღირებულებებთან, დემოკრატიასთან, ადამიანის უფლებებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ევროკავშირის მთელი ზემოქმედების მიუხედავად, რუსეთი სულ უფრო მეტად აქცევს ზურგს ბრიუსელს. მოსკოვი ახლა იწყებს „ახალი ევრაზიის“ შექმნას, რომელიც გააერთიანებს ბელორუსიასა და მის სხვა მოკავშირეებს. მაგრამ, სუამის საქმიანობაში მონაწილე ქვეყნები „ევრაზიის გაერთიანებაში“ თავს აშკარად ვიწროდ და არაკომფორტულად გრძნობენ, მით უმეტეს, რომ ამ გაერთიანებაში სულ უფრო მეტად ძლიერდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გავლენა. თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სუამის წევრი სახელმწიფოებისთვის არავის მიუცია იმის გარანტია, რომ მათ ევროკავშირის რიგებში მიიღებენ თუნდაც უახლოესი 20 წლის განმავლობაში. ეს, რა თქმა უნდა, ცინიკურად ჟღერს ისეთი პოლიტიკოსების საკმაოდ ოპტიმისტური გამონათქვამების ფონზე, როგორიც არის, მაგალითად, პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი. რაც შეეხება მოლდავეთის პრეზიდენტს, რომელიც არ დასწრებია ბაქოს ფორუმს, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მან მოსკოვისგან მიიღო რაღაც საიდუმლო დაპირებები და ახლა ცდილობს თავისი მოქმედების კორექტირებას. ყოველ შემთხვევაში, უკვე კარგა ხანია აშკარაა: ვლადიმერ ვორონინს ძალზე ეშინია იმის, რომ ევროკავშირის ეგიდით არ მოხდეს მისი ქვეყნის „რუმინიზაცია“, რადგან რუმინეთის გავლენისადმი წინააღმდეგობის გაწევა ვორონინის საშინაო პოლიტიკის მთავარი ლოზუნგია.

**გიორგი ხუციშვილი – კონფლიქტების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, თბილისი:**

– სუამის ბაქოს სამიტის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მიღწევაა ის, რომ ორგანიზაცია გადადის ერთობლივ პრობლემათა გადაჭრის რეალურ მექანიზმზე. სხვადასხვა პრობლემისადმი ერთობლივი მიდგომა თანდათანობით იღებს ერთობლივი ნამუშევრებისა და კონკრეტული მორიგებების სახეს. ამას, კერძოდ, მოწმობს ხელშეკრულება სუამის წევრი-ქვეყნების ენერგოუშიშროების შესახებ, რაც საკმაოდ სერიოზული მიღწევაა. როგორც ვარაუდობენ, სუამის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება გახდება ერთობლივი ძალისხმევა რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებისათვის მიზნით სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე. ეს ხაზგასმულია კიდეც ბაქოში ხელმოწერილ დეკლარაციაში. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, სუამის წევრი სახელმწიფოების ურთიერთმოქმედება შეუწყობს ხელს სამართლიანი გადაწყვეტილებების გამონახვას რეგიონული კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში. ამ თვალსაზრისით მართლაც არის მოსალოდნელი რაღაც პროგრესი. მაგრამ სამიტზე მაინც არ მოუწერიათ ხელი რაიმე რეალური დოკუმენტებისათვის. უკვე კარგა ხანია ლაპარაკობენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოწესრიგებაში უკრაინელთა მონაწილეობის შესახებ, და ჩემთვის გაუგებარია, თუ რა უშლის ხელს ამის დოკუმენტურად განმტკიცებას.

მოამზადეს
**ალექსეი ანდრეევმა, ირინე ბარამიძემ**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

№ 115. ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

# სააკაშვილის დაპირებები ცხინვალში სამხედრო მუქარად აღიქვეს

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება ქართულ-ოსური კონფლიქტის უახლოეს თვეებში მოწესრიგების თაობაზე ცხინვალში აღიქვეს როგორც სამხედრო მუქარა. ეს განაცხადა რუსეთის ფედერაციაში თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დიმიტრი მედოევმა.**

„ასეთი განცხადება უნდა განვიხილოთ ყოველივე იმის ფონზე, რაც ახლა სამხრეთ ოსეთის ირგვლივ ხდება: ჩვენი რესპუბლიკის საზღვრების პერიმეტრზე მიმდინარეობს საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა, ყველა წინათ მიღწეულ მორიგებათა დარღვევით, კონფლიქტის ზონაში შეყვანილია საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები. გარდა ამისა, ამ ბოლო თვეებში ჩვენ თვალყურს ვადევნებთ საზღვრის პერიმეტრზე სულ უფრო გახშირებულ პროვოკაციებს. ამას შეიძლება დავუმატოთ ცხინვალისთვის წყლის ბლოკადის გამოცხადება, გამუდმებული სროლა ღამ-ღამობით, საქართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმების გამოხდომები“, – აღნიშნა მედოევმა.

როგორც მან თქვა, სამხრეთ ოსეთში კარგად იციან, თუ როგორ შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტების მოწესრიგება. „მან ამის გაკეთება იცის მხოლოდ ძალისმიერი გზით, რადგან სხვა გზა არ გააჩნია. სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება შეიძლება მივიჩნიოთ ასევე ჩიხად, რომელშიც აღმოჩნდა საქართველოს მთავრობა. შეწყვიტა რა მოლაპარაკების პროცესი, იგი ახლა ცდილობს დაარღვიოს შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატი, დასძინა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა.

მედოევმა ასევე გაიხსენა, რომ ოსეთი არასდროს არ ყოფილა საქართველოს ნაწილი. „დაპირისპირების დაწყებიდან გასული მთელი ბოლო 15 წლის მანძილზე ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას წარმოედგინათ თუნდაც ერთი დოკუმენტი, რომელშიც დაადასტურებდა რომ ოსეთი შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. ასეთი საბუთი ვერ წარმოგვიდგინეს, რადგან იგი არ არსებობს“, – თქვა მედოევმა.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა, რომ სამხრეთ ოსეთის პრობლემის საბოლოო მოგვარებამდე არც ისე დიდი დრო დარჩა და კონფლიქტის დარეგულირება უახლოესი თვეების განმავლობაში მოხდებაო.

„იწურება კოკოითის პრეზიდენტობის ვადა, და ჩვენ საბოლოოდ გადავჭრით ყველა პრობლემას რამდენიმე თვის განმავლობაში, ვუჩვენებთ მთელ მსოფლიოს, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეროვნებათშორისი კონფლიქტები“, – განაცხადა სააკაშვილმა ბაქოში სუამის სამიტის შედეგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო არავის დართავს მისი სახელმწიფო საზღვრების გადაკეთების უფლებას.

„ოსეთი ათასწლეულების განმავლობაში შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში და შემდგომშიც დარჩება ასეთად. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა საქართველოს მოქალაქეები არიან, ჩვენ მათ ვეკიდებით დიდი პატივისცემით და მზად ვართ შევუქმნათ ყველა პირობა ნორმალური ცხოვრებისთვის“, – თქვა სააკაშვილმა.

როგორც მან განაცხადა, ქართველ და ოს ხალხებს შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს. „ამ პრობლემებს ქმნიან კრიმინალური სტრუქტურები“, – ამტკიცებს სააკაშვილი. „ჩვენ დიდი მოთმინება გვაქვს, მაგრამ უსაზღვრო არც ეს მოთმინებაა. ჩვენ გადავჭრით კრიმინალურ დაჯგუფებებთან დაკავშირებულ პრობლემას“, – თქვა საქართველოს პრეზიდენტმა.

**ანდრეი მალიშკინი**

НОВОСТИ

# საქართველომ რადიაქტიური ტვირთი დააკავა, მაგრამ შემდეგ იგი დააბრუნა აზერბაიჯანში

**საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე დააკავა პლუტონიუმ-ბერილიუმის რადიაქტიური ტვირთი, მაგრამ შემდეგ იგი აზერბაიჯანში დააბრუნა.**

ტელეკომპანია „იმედის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ტვირთი აღმოაჩინეს ჯართით დატვირთულ ტრაილერში. ეს ინციდენტი 18 ივნისს მოხდა.



მესაზღვრეებმა გამოიძახეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ექსპერტები, მაგრამ ტვირთი მალე დააბრუნეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროში არ დაუზუსტებიათ, თუ რატომ დააკავეს ტვირთი, ვინ იყო მისი მფლობელი, ან ვისთვის იყო იგი განკუთვნილი. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში კი განაცხადეს, რომ ტვირთს საქართველოში თუ დატოვებდნენ, ამას მოჰყვებოდა ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა.

ქართველმა ექსპერტებმა სხვადასხვაგვარი რეაგირება მოახდინეს რადიაქტიური ტვირთის აზერბაიჯანში დაბრუნებაზე. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი – მთავარია, რომ სასაზღვრო პოლიციამ დროულად აღმოაჩინა ტვირთი და საქართველოს თავიდან ააცილა არასასურველი შედეგები. მეორენი კი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ პლუტონიუმ-ბერილიუმის გამოყენება შეიძლება ეგრეთ წოდებული „ჭუჭყიანი ბომბის“ დასამზადებლად და მიანიშნებენ აქედან გამომდინარე მთელ რიგ მძიმე შედეგებზე.

ექსპერტები ასევე აცხადებენ, რომ რადიაქტიურ ნივიერებათა ლეგალური ტრანსპორტირება ითვალისწინებს სახელმწიფოებს შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობას, ხოლო თუ ასეთი დოკუმენტი არ არის, მაშასადამე, საქმე ეხება რადიაქტიური ნივთიერებების კონტრაბანდას, და ყოველი ასეთი ფაქტი მოითხოვს სერიოზულ გამოძიებას, კერძოდ, შესაძლო დივერსიებსა და ტერორისტული აქტების კონტექსტით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში კი აღნიშნავენ, რომ რადიაქტიურ ნივთიერებათა კონტრაბანდა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სხვადასხვა ვადით – 5 წლიდან 20 წლამდე.

ტელეკომპანიამ გაიხსენა, რომ პლუტონიუმ-ბერილიუმთან დაკავშირებული ეს შემთხვევა არ ყოფილა ერთადერთი, როცა საქართველოს ტერიტორიაზე სცადეს არალეგალურად შემოეტანათ რადიაქტიური ნივთიერება. მაგალითად, მიმდინარე წლის იანვარში შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ქართველმა ძალოვანებმა 2006 წლის ზაფხულში საქართველო-რუსეთის საზღვრის მახლობლად დააკავეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ოლეგ ხინცაგოვი, რომელსაც აღმოუჩინეს ურანი, ასევე რომ გამოიყენება „ჭუჭყიანი ბომბის“ დასამზადებლად. საქართველოს სასამართლომ კონტრაბანდისტს 13 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

РОСБАЛТ

ცნობილია პატიმართა წამების რამდენიმე, ყველაზე გავრცელებული ხერხი: სცემდნენ ე. წ. „ამორტიზატორით“ — რეზინის ოთხკუთხა მათრახით, რომელიც აუტანელ ტკივილს აყენებდა მსხვერპლს. ნაცადი ხერხი იყო ფეხის ტერფებში ცემა, რაც ასევე ჯოჯოხეთურ ტკივილს იწვევდა, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ცალი ხელით ჩამოკიდება...



სოფიო მაღრაძე (მარცხნიდან მეორე) ოჯახის წევრებთან

◎ წარსული

# ოჯახს ატყუებდნენ, პატიმარი 10 წლით გადავასახლეთო, ის კი უკვე დახვრეტილი ჰყავდათ

*2007 წელი ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსენების წლად გამოცხადდა. ეს სტრიქონებიც თავისებური მცდელობაა იმისა, რომ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, პატივი მივაგოთ ადამიანებს, რომლებიც საბჭოურ რეპრესიებს შეეწირნენ...*

*30-იანი წლების რეპრესიების შესახებ უამრავი რამ დაწერილა. თუმცა, სათქმელი კვლავ ბევრია — ცრემლიანი, ტკივილიანი... ქარიშხალივით გადაუარა ამ წლებმა საქართველოს და თითქოს გული ამოგლიჯა: ბოლშევიკმა ფანატიკოსებმა ყველაზე ღირსეული, საუკეთესონი ამოწყვიტეს. წითელი ტერორი იყო მათი მრწამსი. მრწამსი ადამიანებისა, ვისთვისაც ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასიც არა ჰქონდა...*

„ამიყვანეს მესამე სართულზე. გზადაგზა ყოველი ოთახიდან (გამომძიებლების კაბინეტები იყოძ მოისმოდა ტანჯვისა და ვაების ხმები: ტირილი, მუქარა, გინება, ისტერიული კივილი, ცემა-ტყეპა, ხვეწნა, ვედრება“... ასე იხსენებს ერთ-ერთი რეპრესირებული შინსახკომის შიდა ციხეს, რომელიც ბესიკის ქუჩაზე მდებარეობდა (დავით გორგაძე, „მოგზაურობა ჯოჯოხეთში“ძ.

მაინც, როგორ ახერხებდნენ, რომ სრულიად უდანაშაულო კაცი „ხალხის მტრად“ წარმოესახათ? საამისოდ უამრავი საშუალება იყო. უპირველეს ყოვლისა, დაბეზღება. საკმარისი იყო ერთი სიტყვა, სულ უბრალო ხუმრობაც, რომ ადამიანი დაესმინათ და გოლგოთის გზაზე გაეშვათ.

არანაკლებ საშიში იყო „ხალხის მტრის“ ნათესაობა. რეპრესირებულთა ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ახლობლებს ძალიან დიდი შანსი ჰქონდათ, რომ მათი ბედი გაეზიარებინათ. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ წლებში ბევრმა საკუთარი მამა, ძმა, შვილი მოიძულა, თავი რომ გადაერჩინა. ამის დასტურად ასეთი ფაქტიც საკმარისია: ხაშურის რაიკომის მდივნის ძმა დააპატიმრეს. რაიკომის მდივანმა საქართველოს კპ (ბძ ცკ-ს პლენუმზე თქვა: „მე არ მჭირდება მისი დაცვა. თვითონ შემწევს იმდენი ძალა, რომ ჩემი ხელით დავხვრიტო ჩემი ძმა, თუ მან ეს დაიმსახურა“...

დამახასიათებელია, ვინმე ვარლამოვის სიტყვაც, როცა მას პარტიულ კრებაზე „ტროცკისტ“ შვილზე აზრის გამოთქმა მოსთხოვეს: „მე ჩემს შვილს არ გამოვყოფ ამ ბანდიტებისგან. შვილი ჩემთან არ ცხოვრობს, ის უკვე 37 წლისაა. მე მას ვაფრთხილებდი, პარტია არ შეერცხვინა, მაგრამ არ დამიჯერა“ (ალექსანდრე დაუშვილი — „თბილისი, 1937“ძ.

მაინც რამ უნდა აიძულოს ადამიანი, ასეთი რამ რომ თქვას? — ფანატიკურმა რწმენამ, თუ პანიკურმა შიშმა?

მაგრამ ათასობით უდანაშაულო ადამიანის „ხალხის მტრად“ გამოცხადების ყველაზე შემზარავი საშუალება წამება იყო.

ცნობილია პატიმართა წამების რამდენიმე, ყველაზე გავრცელებული ხერხი: სცემდნენ ე. წ. „ამორტიზატორით“ — რეზინის ოთხკუთხა მათრახით, რომელიც აუტანელ ტკივილს აყენებდა მსხვერპლს. ნაცადი ხერხი იყო ფეხის ტერფებში ცემა, რაც ასევე ჯოჯოხეთურ ტკივილს იწვევდა, ცალი ხელით ჩამოკიდება...

მოთხოვნა დაახლოებით ასე ჟღერდა: „აღიარე, რომ უცხოეთის ჯაშუში ხარ, რომ მათი დაზვერვის მითითებებს ასრულებდი და იყავი კონტრრევოლუციონერი“. თუ პატიმარი აღიარებდა, იწყებოდა ახალი, უფრო საშინელი ეტაპი. „შენ უნდა დაგვისახელო, რომელი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი იყავი, ვისთან გქონდა კავშირი, ვინ იყვნენ ამ ორგანიზაციის წევრები...“

და საბრალო წამებულიც ასახელებდა, ასახელებდა ყველას, ვისი სახელი და გვარიც გაახსენდებოდა, ცნობილია, რომ ერთ ადამიანს 80-90 „მტერი“ დაუსახელებია წამების პროცესში.

წამებაზე არანაკლებ „ეფექტიანი ხერხი“ იყო „ფსიქოლოგიური დამუშავება“ — აშინებდნენ, რომ დაუპატიმრებდნენ ცოლ-შვილს, დედ-მამას, ახლობლებს. უმეტესწილად „ხალხის მტრის“ მეუღლესაც იჭერდნენ და გადასახლებაში გზავნიდნენ.

სოფიო მაღრაძე ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც „ხალხის მტრის“ ცოლობა არგუნა ბედმა. მისი მეუღლე 1938 წელს დააპატიმრეს. რამდენიმე თვეში ისიც ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი გადაასახლეს. აი, რას უყვებოდა ქალბატონი სოფიო ოჯახის წევრებს დაბრუნების შემდეგ:

„ბანაკში მისვლისთანავე ყველას თავი გადაგვპარსეს. გვაძლევდნენ 200 გრამ პურს. ვერასოდეს ვიფიქრებდით, თუ გაყინული შავი პური ასე გემრიელი მომეჩვენებოდა. აბანოში ვხედავდით ერთმანეთის ჩონჩხადქცეულ სხეულებს. ბევრნი საკუთარ თავს ველარც კი ვცნობდით. ზოგიერთს სიგამხდრისაგან კუდუსუნის ძვალი ისე გამოკვეთოდა, გეგონებოდათ კუდი ამოსვლიაო. საშინელი წლები იყო. დღეს რომ ვიგონებ, თითქოს, ეს ყველაფერი სულ სხვა ადამიანმა გამოიარა“...

სოფიო მაღრაძემ (როგორც ბევრმა მისმა მსგავსმაძ როგორღაც გაუძლო იმ ჯოჯოხეთს და ოჯახს, შვილს დაუბრუნდა, მაგრამ რამდენმა ვერ გაუძლო, რამდენმა ჩატოვა ძვლები უცხო მიწაში...

ხშირად პატიმრის ოჯახს ატყუებდნენ, 10 წლით გადავასახლეთო, ის კი უკვე დახვრეტილი ჰყავდათ.

შინსახკომის ჯალათები არაფრით ჩამორჩებოდნენ თავის ფაშისტ „კოლეგებს“, რომლებმაც საკონცენტრაციო ბანაკებში მილიონობით „უდანაშაულო დამნაშავე“ ამოწყვიტეს.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ სენსაცია ცხრა მთას იქით

# აშშ-ში ახალი 11 სექტემბერი აიცილეს

## დააპატიმრეს ტერორისტები, რომლებიც ნიუ-იორკის საცხოვრებელი რაიონისა და აეროპორტის აფეთქებას აპირებდნენ

**ამერიკის სპეცსამსახურებმა შეძლეს ოთხი შეთქმულიდან სამის შეპყრობა, თანაც იმ დროს, როცა იმათ ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ საშინელი გეგმის განსახორციელებლად ფულისა და ასაფეთქებელი მასალის შოვნა.**



63 წლის რასელ დეფრეიტასმა (წარმოშობით გაიანელმაძ რამდენიმე წელს იმუშავა ნიუ-იორკის ჯონ კენედის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში. სამსახურიდან წასულმა სულიერი თავშესაფარი ჰპოვა ტერორისტულ ქსელ „ჯამაათ მუსლიმონში“. იქვე კიდევ ორი გაიანელი და პაწაწინა სახელმწიფოს ტრინიდადისა და ტობაგოს ერთი მოქალაქე აღმოჩნდნენ. „ალ-ქაიდას მიმბაძველთა“ (როგორც მოგვიანებით გფბ-ში უწოდესძ ამ ოთხეულმა შემაძრწუნებელი ტერაქტის ხორცშესხმა ჩაიფიქრა, რომელიც დაჩრდილავდა 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენთა ავიატარანს.

შეტევის ობიექტად სწორედ ის აეროპორტი აირჩიეს, სადაც დეფრეიტასი მუშაობდა და იქ არის გამტარი მილი, რომლითაც საავიაციო საწვავი მიეწოდებოდა. რამდენადაც მილი ნიუ-იორკის საცხოვრებელი რაიონის ქვეშ გადის, ნგრევის მასშტაბი და მსხვერპლთა რაოდენობა წარმოუდგენელი იქნებოდა.

მოხდა ისე, რომ ამ ავი-ტეროროსტებმა თვითონ გამოსდეს სარმა საკუთარ თავს. დეფრეიტასმა ყველაფერი ჩაუკაკლა მეჩეთში შემთხვევით ნაცნობს, რომელიც გფბ-ს აგენტი აღმოჩნდა. სამი არამზადა გათოკეს, მეოთხე გაექცათ და იძებნება.

**რუსული პრესის მიხედვით**

# მოკლედ



**ყაზახეთის პრეზიდენტმა დაითხოვა პარლამენტის ქვედა პალატა, რათა მან არ დაამუხრუჭოს რეფორმათა განხორციელება. წინა დღით მაჟილისის დეპუტატებმა თვითონ თხოვეს ნურსულთან ნაზარბაევს დაენიშნა ვადამდელი არჩევნები. ყოველივე ეს უკავშირდება კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც ამოქმედდება მხოლოდ მაშინ, როცა ამოიწურება ამჟამინდელი პარლამენტის უფლებამოსილების ვადა. პრეზიდენტი გამოეხმაურა დეპუტატთა თხოვნას და 18 აგვისტოსთვის დანიშნა ვადამდელი არჩევნები.**

* * *



**იაპონიის პოლიციამ 14 რუსეთელი დააკავა სავიზო რეჟიმის დარღვევის გამო. ორი რეიდის დროს, რომლებშიც 370 პოლიციელი მონაწილეობდა, იაპონიაში შეამოწმეს 18 „რუსული“ეგრეთ წოდებული გასართობი დაწესებულებები, რომლებშიც რუსეთიდან ჩასული გოგონები მუშაობდნენ. 14 დაკავებული რუსეთელის გარდა, დააპატიმრეს კიდევ 35 უცხოელი. ისინი გადასცეს სამიგრაციო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც, ალბათ, დაკავებულთა სამშობლოში დეპორტირებას მოახდენენ.**

* * *

**ნიუ-იორკის მერი და ფინანსური და საქმიანი ინფორმაციის სააგენტოს დამფუძნებელი მაიკლ ბლუმბერგი, რომელმაც დატოვა რესპუბლიკური პარტიის რიგები, უარყოფს, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი.**



**არადა, მანამდე იმ თანხასაც კი ასახელებდნენ, რომლის დახარჯვასაც ამ მიზნებისთვის აპირებდა ბლუმბერგი — მილიარდი დოლარი.**

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პროგრამის შესახებ ექვსმხრივი მოლაპარაკება შეიძლება უკვე ივლისის დამდეგს განახლდეს. ასეთი განცხადება გააკეთა ტოკიოში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მრჩეველმა აღმოსავლეთი აზიისა და წყნარი ოკეანის საქმეებში კრისტოფერ ჰილმა. იგი წარმოადგენს ვაშინგტონს ექვსმხრივ მოლაპარაკებაზე, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების გარდა ასევე მონაწილეობს ორი კორეული სახელმწიფო, ჩინეთი, რუსეთი და იაპონია.**

№ 115. ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



## ინფორმაცია

### სასამართლოსი არ სჯერათ, მაგრამ სარჩელი მაინც შეიტანეს

**„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 12 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.**

ორგანიზაციის წევრის ლაშა ჩხარტიშვილის განცხადებით, ისინი “თანასწორობის ინსტიტუტის“ სამი წევრის ჯაბა ჯიშკარიანის, დავით დალაქიშვილისა და ლევან გოგიჩაიშვილისთვის 25-დღიანი პატიმრობის გაუქმებას ითხოვენ.

მისივე თქმით, სააპელაციო სასამართლოში წარმატების იმედი არა აქვთ და კანონით დადგენილ წესს მხოლოდ ფორმალურად ასრულებენ.

ჩხარტიშვილმა მოუწოდა საზოგადოებას, პროტესტი გამოუცხადონ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ეკა ტყეშელაშვილს და საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს, რადგან ისინი “ხელისუფლების მონები არიან და მონური გადაწყვეტილებები გამოაქვთ“.

ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადახედოს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას და პატიმრობის ვადა შეცვალოს.

### დავუჯეროთ მერიას?



**ქალაქის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი არ ადასტურებს ინფორმაციას სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის 1,50 ლარამდე გაძვირების შესახებ.**

მან განაცხადა, რომ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ღირებულების მაქსიმალური ფასი 50 თეთრია და მისი გაძვირების შესახებ მუნიციპალიტეტში ინფორმაცია არ არის.

ამასთან, თბილისის ვიცე-მერის თქმით, სამარშრუტო ტაქსები მუნიციპალური ტრანსპორტი არ არის, კერძო სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენს.

### ერთობლივი კონფერენცია გაიმართა

**გუშინ სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში „კონფერენცია გაიმართა თემაზე: „თავდაცვის დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემა — მიღწევები და პერსპექტივები“.**

კონფერენციაზე დასასწრებად საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს თავდაცვის სამინისტროს 17-კაციანი დელეგაცია ჩამოვიდა. მას ჰოლანდიის თავდაცვის სამინისტროს ზოგადი პოლიტიკური საკითხების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ჟან გირტ სიკამა ხელმძღვანელობს.

კონფერენცია თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლევან ნიკოლეიშვილმა გახსნა.

— ჰოლანდიის თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტი ბიუჯეტის პროგრამირებაში აქტიურად გვეხმარება. ეს ღონისძიება დიდი ხანია მიმდინარეობს და თითქმის დასრულების სტადიაშია. ამჟამად გაკეთებული სამუშაოების შეჯერება და გაანალიზება ხდება. ასევე ვსახავთ სამომავლო გეგმებს, — განაცხადა ნიკოლეიშვილმა.

ჰოლანდიის თავდაცვის სამინისტროს ზოგადი პოლიტიკური საკითხების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ჟან გირტ სიკამას განცხადებით, ჰოლანდიის მხარე ქართველ კოლეგებს რეფორმების დაჩქარებული წესით გატარებაში, თავდაცვის სისტემის მიერ დანახარჯების გამჭვირვალობაში და ფონდების ეფექტურად განკარგვაში ეხმარება.

### 30-ლარიან მოსაკრებელს ახდევინებენ

**წაღვერისა და საჩხერის ტყეებში სოკოს მოკრეფა 30 ლარი ღირს. ამის შესახებ გუშინ პარლამენტის სესიაზე დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენელმა თემურ ნერგაძემ განაცხადა და იგი პარლამენტს ამ საკითხით დაინტერესებას სთხოვს.**

მისი თქმით სოკოს მოკრეფისათვის მოსაკრებლის დაწესება სრულიად უკანონოა.

— კანონმდებლობა სოკოს, სხვა ხილისა და კენკრის ტყეში მოგროვებისათვის არანაირი გადასახადის დაწესებას არ ითვალისწინებს. წაღვერისა და საჩხერის გამგეობებმა დააწესეს მოსაკრებელი 30 ლარის ოდენობით და თუკი ამ გადასახადის გადაუხდელად მოწყვეტს ვინმე სოკოს, მას 200-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს, — განაცხადა თემურ ნერგაძემ.

მისი თქმით, ტყეში შემსვლელს „სახალხო ბანკში“ გადახდილი თანხის დამადასტურებელი ქვითარი უნდა ჰქონდეს.

— მოსახლეობა სოკოს ძირითადად საკვებად იმის გამო იყენებს, რომ გაჭირვებულები არიან. 30 ლარი რომ ჰქონდეს, წავა და სხვა საჭმელს იყიდის. ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება და პარლამენტს ვთხოვ, ამ რეაგირება მოახდინოს, — განაცხადა მან.

პარლამენტში მყოფმა გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი ღვალაძემ განაცხადა, რომ კანონმდებლობით, სოკოს მოკრეფისთვის არანაირი გადასახადი არ არის დაწესებული და ეს, სავარაუდოდ, არასწორი ინფორმაციაა.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ედუარდ სურმანიძეც აცხადებს, რომ ასეთი მოსაკრებლის დაწესება არ შეიძლება და მიაჩნია, რომ საზოგადოება, შესაძლოა, შეცდომაში იყოს შეყვანილი.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

**კითხვა: ვინაიდან ამ საკითხის გარკვევას ჩემთვის და ჩვენი დაწესებულების დანარჩენი თანამშრომლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, გთხოვთ, განმიმარტოთ, როდიდან წარმოიშობა გაფიცვის უფლება?**

**თეონა გაფრინდაშვილი**



**პასუხი:** კანონის თანახმად, გაფიცვის უფლება წარმოიშობა მხოლოდ გამაფრთხილებელი გაფიცვის შემდეგ, არანაკლებ 24 საათისა და არა უმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

* * *

**კითხვა: ვარ 19 წლის, მყავს მცირეწლოვანი შვილი, მეუღლემ მიმატოვა. რა შეიძლება გახდეს ბავშვისთვის მამისგან ალიმენტის მიღების საფუძველი.**

**ლოლიტა კოპეშავიძე**

**პასუხი:** საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია შვილების მშობლებისგან შთამომავლობითი წარმომავლობა. საალიმენტო ვალდებულების სუბიექტია რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი (ან ბავშვებიძ, აგრეთვე ბავშვი, რომელიც მამამ ცნო შვილად ნებაყოფილობით ან სასამართლო წესით. თუ მამა უარს აცხადებს დახმარება გაუწიოს მცირეწლოვანი ბავშვის მატერიალურად უზრუნველყოფაში, უფლება გაქვთ, მიმართოთ სასამართლოს.

* * *

**კითხვა: ერთი კვირის წინათ გამოძახებული ვიყავი პროკურატურაში თანამშრომლის დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების მისაცემად. ამინაზღაურდება თუ არა ამ დღის ხელფასი?**

**ნაილი აბდუშელიშვილი**

**პასუხი:** საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლოს ორგანოებში გამოცხადება ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.

თბილისის გზების რეაბილიტაციის პროექტი

**ტენდერში მონაწილეობისთვის ვიწვევთ გზის სპეციალისტებს**

1. საქართველოს მთავრობის სახელით თბილისის მერიას თბილისში დაახლოებით 600 000 კვადრატული მეტრი გზების შეკეთებისა და რეაბილიტაციის გეგმა აქვს მომზადებული. პროექტი დაფინანსდება არაბეთის ეკონომიკური განვითარების კუვეითის ფონდსა და საქართველოს მთაავრობას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად.
2. სამშენებლო გზებისთვის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ კუვეიტისა და საქართველოს ერთობლივი საწარმოს კონტრაქტორებს.
3. კუვეიტისა და საქართველოს ერთობლივი საწარმოს კონტრაქტორთა კვალიფიკაციის შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციას შეარჩევს საქართველოს რესპუბლიკის სახელით თბილისის მერია.
4. კვალიფიკაციის შესამოწმებლად დოკუმენტების სიისა და დამატებითი ინფორაციის მისაღებად მიმართეთ:

თემურ უძილაურს,
თბილისის მერია,
2, თავისუფლების მოედანი
0105, თბილისი, საქართველო
**ტელ: 995 32 93 61 51**
**ფაქსი: 995 32 98 81 48**
E-mail: ***i.atanasovi@tbilisi,ge***
**dalavidze@tbilisi.gov.ge**
**temur_udzilauri@hotmail.com**

5. სატენდერო განცხადებები მიიღება 2007 წლის აგვისტომდე.
6. ტენდერში მონაწილეობის ერთობლივი საწარმოები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

6.1. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში წლიური ბრუნვის ოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 6.0 მილიონი აშშ დოლარისა (ეს შეეხება მხოლოდ კუვეიტის მხარესძ.

6.2. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს განხორციელებული სულ მცირე 3 ანალოგიური პროექტისა.

6.3. უნდა ჰქონდეს მოთხოვნების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის (საკუთარი ან დაქირავებულიძ.

6.4. სულ მცირე 1,0 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ლიკვიდური აქტივები ან კრედიტის საშუალება.

7. თბილისის მერიაში ტენდერში მონაწილეობისთვის საკვალიფიკაციო დოკუმენტების წარმოდგენის ბოლო ვადაა ადგილობრივი დროით 13 საათი, 2007 წლის 10 აგვისტო.

**TBILISI ROADS REHABILITATION PROJECT**

**INVITATION FOR PRE-QUALIFICATION OF ROAD CONTRACTORS**

1. The Government of Georgia, represented by the Tbilisi City Hall, has a plan to rehabilitate and reconstruct road network in Tbilisi of about 600 000 square meter. The Project will be financed through a Loan Agreement between the Kuwait Fund for Arab Economic Development and the Georgian Government
2. The tender for the construction Works will be limited to Joint Ventures of Kuwaiti & Georgian Contractors.
3. The Tbilisi City Hall, on behalf of the Republic of Georgia, intends to prequalify Joint Ventures of Kuwaiti & Georgian Contractors.
4. Pre-qualification Documents and any further information can be obtained from:

Temur Udzilauri, Head of PIU
Tbilisi City Hall
2 Liberty Sq,
0105, Tbilisi – Georgia,
Phone: +995-32 936151
Fax: +995-32 988148
E-mail: ***i.atanasovi@tbilisi,ge***
**dalavidze@tbilisi.gov.ge**
**temur_udzilauri@hotmail.com**

5. Invitation to tender are expected in August, 2007
6. The minimum prequalification requirements for a Joint Venture are:

6.1. Average Annual Turnover over the last five years of US$ 6.0 million for Kuwait Contractors, not Georgian.

6.2. Execution of at least 3 similar projects (of generally similar size and complexity) with at least one project in the region- within the last five years.

6.3. Demonstration of sufficient availability (owned or leased) of major Construction Plant and Machinery for execution of the Contract/ Contracts.

6.4. Demonstration of availability of Liquid Assets or Credit Facility of at least US $ 1 million.

7. The last date of Submission of Pre-qualification documents to the Tbilisi City Hall, is 10 August, 2007, 13 Local Time in Georgia

# სპორტი

● უბედურება ისიც გახლავთ, საზოგადოებამ დღესაც რომ არ იცის, სინამდვილეში როგორ გაითელა ფეხქვეშ ქართული სპორტული სამყაროს ავტორიტეტი და ღირსება. ვინაიდან ნაირნაირი ხმები გავრცელდა, ორმოცზე საჭიროდ ჩავთვალეთ შედარებით სარწმუნო ვარიანტი შემოგთავაზოთ



◉ ორმოცი

# გადაუხდის თუ არა ვინმე პარაკლისს?




**დღეს ქართული ფეხბურთის, ზოგადად, და გიორგი ნემსაძის, კონკრეტულად, მორალური დასამარებიდან მეორმოცე დღეა. ნამდვილად არ ვიცით, აპირებს თუ არა ვინმე პარაკლისის გადახდას, როგორც ამას ქრისტიანული ტრადიცია მოითხოვს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ისე განაგრძობენ „ბაირამობას“ 13 მაისს განვითარებული სამარცხვინო მოვლენების შემოქმედნი.**

ეს, უპირველესად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების თავკაცებს ეხებათ, იმ გუნდისა, რომელმაც საბედისწერო დღიდან გასულ მცირე პერიოდში კიდევ ორი შესარჩევი მატჩის წაგება მოასწრო, თუმცა ახალკაცი და ტოპმიოლერი მაინც ჯიუტად გაიძახიან, სწორი გზით მივდივართო.

უბედურება ისიც გახლავთ, საზოგადოებამ დღესაც რომ არ იცის, სინამდვილეში როგორ გაითელა ფეხქვეშ ქართული სპორტული სამყაროს ავტორიტეტი და ღირსება. ვინაიდან ნაირნაირი ხმები გავრცელდა, ორმოცზე საჭიროდ ჩავთვალეთ შედარებით სარწმუნო ვარიანტი შემოგთავაზოთ.

მოგეხსენებათ, წინა დღით თბილისში ჰეიდარ ალიევის ძეგლი გაიხსნა. ბუნებრივია, ამას საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მონაწილეობით გამართული ბანკეტი მოჰყვა. სწორედ „პახმელიაზე“ მყოფ მიხეილ სააკაშვილთან შეიკრიბნენ „ქორთიარდ მარიოტში“ თავისი პროტეჟეს დამარცხების შემდეგ ნაციონალთა იდეოლოგიური ფრთის წევრები ბოკერია, ლომაია, უგულავა, გაბაშვილი და, არც მეტი, არც ნაკლები, ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ახალკაცის დაბრუნება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამდებობებიდან გადადგომით დაიმუქრნენ. ულტიმატუმის ასეთმა ფორმამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაჭრა, დანარჩენი კი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. თურმე, არც მმართველი პარტიის ახალგაზრდული ფრთის ლიდერის კირკიტაძისა და იმ რეგიონების გუბერნატორთა დაპატიმრება ყოფილა გამორიცხული, რომელთა კლუბების წარმომადგენლებმაც ფედერაციის ხელმძღვანელის არჩევნებში ხმა ეროვნული ნაკრების ყოფილ კაპიტანს მისცეს. აღარაფერს ვამბობთ „ნემსოს“ მეგობარ ფეხბურთელთა შესაძლო დასჯაზე ამა თუ იმ საშუალებით (მაგალითად, ბიზნესში წილების წართმევითძ. და, რაც მთავარია, „თავისუფლების ინსტიტუტმა“ რევანში აილო ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში განცდილი ფიასკოს გამო — როგორც იცით, გეწაძე კირკიტაძის თანამოაზრეა, ზედიზედ მეორე წაგება კი უსაზღვრო ძალაუფლებით დაბანგულ რეფორმატორთათვის ძნელად გადასატანი იქნებოდა. დასანანია, რომ შიდაპარტიულ „კონტრას“ ღირსეული პიროვნების დაუმსახურებელი დატორვა მოჰყვა, თუმცა, მოდით, ისიც ვიკითხოთ — ზრუნავს კი ვინმე ჩვენს ქვეყანაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დაცვაზე?

სხვათა შორის, წლევანდელმა 13 მაისმა ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდის როლი ითამაშა. მხედველობაში გვაქვს ის გულგრილობა, როგორითაც ქართულმა საფეხბურთო ოჯახმა აღნიშნულ დარტყმას უპასუხა (რასაკვირველია, აქ არ ვგულისხმობთ ცალკეულ გამონაკლისებსძ. თუ ცნობილი გამოთქმის პერიფრაზირებას მოვახდენთ, უნდა ითქვას, რომ ფეხბურთის ფედერაციას სწორედ ისეთი ხალხი მართავს, როგორიც მედროვე, უპოზიციო და ინერტულ რიგით წევრებს ეკადრებათ.

ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ.

**გია პლატონიშვილი**

◉ ორბიტაზე

## ოლიმპიადა ევერესტზე

**როგორც იტყობინებიან, ჩინეთის მთავრობა გეგმავს გზატკეცილის გაყვანას მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ-ევერესტზე და იქ 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანის ატანას.**

Associated Press-ის ცნობით, 108-კილომეტრიანი შარაგზის მთის ძირიდან დაწყებული ზღვის დონიდან 5200 მეტრზე მდებარე საბაზო ბანაკამდე „ასფალტირებულ გზატკეცილად“ გარდაქმნა 20 მილიონი დოლარი დაჯდება. გზის მშენებლობა მომავალ თვეში დაიწყება და ოთხ თვეში დამთავრდება.

ოლიმპიადის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მომავალი თამაშების ჩირაღდნის გზა უგრძესია ისტორიაში და 130 დღის განმავლობაში ხუთ კონტინენტზე 137 ათას კილომეტრს გაივლის. ერთ-ერთი მთავარი მომენტი კი იქნება, სწორედ „მსოფლიო მწვერვალზე“ — 8848 მეტრზე ოლმპიური ცეცხლის ატანა.

ზოგიერთი სკეპტიკოსი ამაში პოლიტიკურ „საფანელსაც“ ხედავს — ტიბეტის სეპარატისტების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მიჩუმათებას.

## პელეს ხელები „მოამტვრიეს“



**ეს ფეხბურთის მეფის სამშობლოში, ბრაზილიის ქალაქ სალვადორში მოხდა — პელეს ბრინჯაოს ქანდაკებას ხელები მოამტვრიეს!**

როგორც ამბობენ, ეს დიდი ფეხბურთელის მტრობით კი არ გააკეთდა, არამედ ბრინჯაოზე დახარბებით, ადგილობრივ შავ ბაზარზე დიდი ფასი რომ აქვს. მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელის ეს მონუმენტი ბაიას შტატის „დედაქალაქში“ 1971 წელს აღიმართა, როდესაც ბრაზილიის ნაკრებმა მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. ქანდაკება პელეს მთელი სიმაღლისაა ჟიულ რიმეს თასით ხელში. ის ადგილობრივი სტადიონის „ფონტენოვას“ შესასვლელთანაა აღმართული და არავინ იცავდა.

ადგილობრივმა პოლიციამ გამოძიება დაიწყო, თუმცა ბოროტმოქმედთა მიგნების იმედი მაინც და მაინც არა აქვს.

## რობერტო კარლოსი — თურქეთში

**როგორც უკვე ვწერდით, მადრიდის სამეფო კლუბის „რეალის“ ბრაზილიელი მცველი რობერტო კარლოსი ახალ სეზონს თურქეთში —„ფენერბახჩეში“ გააგრძელებს.**

ორშაბათს სტამბოლის ათათურქის აეროპორტში თურქი გულშემატკივრები დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ სახელოვან ფეხბურთელს.



◉ მსოფლიო ჩემპიონატი

# „მოოქროვილი დებიუტი“



**ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ოთხ დღეს გრძელდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი ორიენტალში — უნივერსალურ ორთაბრძოლებსა და კიკბოქსინგში WFK-ს და NOF-ის ვერსიებით.**

შეჯიბრებაში 17 ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა სამ ასაკობრივ ჯგუფში. რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, სპორტის დეპარტამენტის, პირადად გია გალდავას და კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის კახა ბასილიას დახმარებით, ყველა პრობლემა დროულად მოგვარდა. ქართველმა სპორტსმენებმაც გვასახელეს: სამივე ასაკში დებიუტი მათ 9 ოქროს მედლით აღნიშნეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვალდიმერ ჯანეზაშვილი, რევაზ ქელდიშვილი, შოთა აკულაშვილი, გიორგი ონიანი, მიხეილ რატიანი, ლევან ჭკადუა, გიგა ნოზაძე, დავით გვარამია და დავით დათუაშვილი ავიდნენ.



როგორც ასპარეზობის ორგანიზატორმა და ამ სახეობის ფედერაციის პრეზიდენტმა სოსო დოლიძემ (საპატიო პრეზიდენტი — გენერალ-ლეიტენანტი გოგი თათუხაშვილი, ვიცე-პრეზიდენტი თამაზ ჯანელიძეძ გვითხრა, ორიენტალი — უნივერსალური ორთაბრძოლების ახალი სახეობაა ჩვენში და მსოფლიო ჩემპიონატის გამართვა მთელ

◉ ვარსკვლავეთი

## ვინ იქნება „Colden Foot“-ის მფლობელი?

**თუმცა კანდიდატები უკვე ცნობილია, მაგრამ მხოლოდ 2007 წლის 3 სექტემბერს გამჟღავნდება, თუ ვინ მოიპოვებს ოქროს ფეხბურთელის ამ საერთაშორისო პრემიას, რომელიც გადაეცემათ მოქმედ ფეხბურთელებს კარიერაში დიდი, შეიძლება ითქვას, დაუვიწყარი წარმატებისთვის. ტრადიციულად, ეს ხდება მონაკოში საზეიმო ცერემონიაზე. რის შემდეგაც ახალი ლაურეატიცა და წარსულში ცნობილი ფეხბურთელებიც თავიანთი ფეხის ანაბეჭდებს დატოვებენ სანაპიროზე გაშენებულ ფეხბურთის ვარსკვლავთა ხეივანში.**



მოდით, ჯერ გავიხსენოთ, თუ ამ ძალზე პრესტიჟული საპატიო პრიზის არსებობის ხუთი წლის მანძილზე ვინ დაიმსახურა მისი ლაურეატობის პატივი: 2003 წელი — **რობერტო ბაჯო** (იტალიაძ, 2004 წელი — **პაველ ნედვედი** (ჩეხეთიძ, 2005 წელი — **ანდრეი შევჩენკო** (უკრაინაძ, 2006 წელი — **რონალდო** (ბრაზილიაძ.

ახლა კი ისინი, ვინც გულის ფანცქალით ელოდება 3 სექტემბრის საღამოს: **დევიდ ბექჰემი** (ინგლისი „რეალი“ძ, **კაფუ** (ბრაზილია, „მილანი“ძ, **ფაბიო კანავარო** (იტალია, „რეალი“ძ, **რობერტო კარლოსი** (ბრაზილია, „რეალი“ძ, **ალესანდრო დელ-პიერო** (იტალია, „იუვენტუსი“ძ, **ლუიშ ფიგუ** (პორტუგალია, „ინტერი“ძ, **რაიან გიგზი** (უელსი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ძ, **ტიერე ანრი** (საფრანგეთი, „არსენალი“ძ, **პაოლო მალდინი** (იტალია, „მილანი“ძ, **რაული** (ესპანეთი, „რეალი“ძ, ვნახოთ, ვის გაუღიმებს ფორტუნა!

◉ ნაცნობი სახეები

## ენრიკემ ანა მიატოვა?



**ამბობენ, თითქოს კურნიკოვასა და იგლესიას, შორის რომანი დასრულდა. მიზეზი — ესპანელი მაჩო მზად არ აღმოჩნდა მამობისათვის.**

რაკი მამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ეგებ ჩოგბურთელი ქალის მშობელსაც ვკითხოთ, მართლა ასეა თუ არა:

— ყოველ წელს, როგორც კი ანას დაბადების დღე დგება (7 ივნისიძ, ახალ-ახალი დახეთქება გამოჩნდება ხოლმე. უნდა თუ არა ენრიკეს მამად გახდომა, მისი საქმეა, ოღონდ ეს სულაც არ აისახება ქალ-ვაჟის კეთილ ურთიერთობებზე. მათ შორის მეგობრობა კი მხოლოდ მტკიცდება...

№ 115. ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

# კულტურა

● სპექტაკლმა ხელი შეუწყო საოპერო დასის საუკეთესო თვისებების, შემოქმედებითი პოტენციის და ასევე იმ ენთუზიაზმის წარმოჩენას, რომლითაც გამსჭვალული იყო მისი თითოეული მონაწილე



◎ პრემიერა

## „რიგოლეტო“ – უძველესი და ახალი...

**საუკუნენახევარზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ვერდის ოპერის „რიგოლეტოს“ პრემიერა გაიმართა ვენეციაში (1851წ. ფრიად წარმატებული პრემიერის შემდეგ ამ ნაწარმოებმა, რომელიც კომპოზიტორმა ვიქტორ ჰიუგოს დრამის „მეფე ერთობას“ მიხედვით შექმნა, უმალ დაიმკვიდრა ადგილი ევროპის სხვადასხვა საოპერო სცენაზე და დიდი პოპულარობა მოუტანა ავტორს. ეს ქმნილება დღემდე განაგრძობს წარმატებულ სვლას მსოფლიოს თეატრებში.**

„რიგოლეტო“ ერთ-ერთი იმ ნაწარმოებთაგანია, რომელშიც სრულად გაიხსნა კომპოზიტორის გენია და ექლვნება ადამიანის ღირსებების, პიროვნული თავისუფლების დამკვიდრებას. ჩანს ვერდის მისწრაფება სიმართლისა და სისადავისკენ, მოქმედებისა და ნათელი თეატრალობისაკენ.

საგულისხმოა, რომ „რიგოლეტოს“ მსოფლიო პრემიერას მალევე გამოეხმაურნენ საქართველოში და ორიოდე წელიწადში იგი თბილისშიც აჟღერებულა. მას შემდეგ თბილისის საოპერო სცენაზე ამ ნაწარმოებს არაერთი ინტერპრეტაციით შეესხა ხორცი. აი, ახლაც, ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა მისი ახალი დადგმა შესთავაზა მსმენელს.

„ეს ის ქრესტომათიული ქმნილებაა, რომელიც მუდამ უნდა იყოს რეპერტუარში,“ – ასე თვლიან თეატრის მესვეურნი დღეს და არცთუ უსაფუძვლოდ. ახალი დადგმის ავტორები არიან დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე და რეჟისორი დავით საყვარელიძე, რომლებმაც ძველი დადგმიდან მხოლოდ მხატვარ გოგი ალექსი-მესხიშვილის კოსტიუმები „ისესხეს“, ასე ორგანულად რომ შეერწყა ახალ დადგმას.

„რიგოლეტო“ გოგი ჭიჭინაძის და დავით საყვარელიძის პირველი ერთობლივი პროექტია. მათი შემოქმედებითი კონცეფცია ამ შემთხვევაში ერთნაირი აღმოჩნდა. კერძოდ ის, რომ ორივემ უარი თქვა ნაწარმოების მოდერნისტულ ვერსიაზე და იგი კლასიკურ ჩარჩოებში გაიაზრა.

**– ამ თვალსაზრისით კონსერვატიული ვარ და ნაკლებად მიყვარს კლასიკური ნაწარმოების სხვა დროში გადატანა. სიახლეებს არ ვეწინააღმდეგები, ბევრი რამ მომწონს ახალი, მაგრამ იმასაც ვფიქრობ, რომ წვრილმანებშიც, ფსიქოლოგიურ მოტივებშიც შეიძლება ბევრი ახალი რამ ითქვას,** – ამბობს დამდგმელი დირიჟორი.



ახალმა დადგმამ გამოკვეთა დამდგმელთა შემოქმედებითი აზროვნების სტილი, ხელწერა. დადგმის უმთავრესი ღირსება მუსიკის სისავსეა.

**– მე მოვხსენი კუპიურები, რადგან მიმაჩნია, რომ ამის ტექნიკური და შემოქმედებითი საშუალებები თეატრს აქვს. გვყავნან ის მომღერლები, რომლებიც ფიზიკურად და ემოციურად უძლებენ ამას,** – ამბობს გოგი ჭიჭინაძე და ამაში მსმენელი საპრემიერო სპექტაკლებმა დაარწმუნა. მკვეთრ დრამატულ კონტრასტებზე აგებულ ნაწარმოებში, მძაფრი ფსიქოლოგიური დრამა ვითარდება, სადაც სამი სრულიად განსხვავებული სახეა, რომელიც ვერდისეული ემოციური და მდიდარი ელფერით არის მუსიკაში ასახული. მთავარ პარტიებში საზოგადოებამ იხილა სულხან გველესიანი (რიგოლეტოძ, გიორგი მახარაძე (ჰერცოგიძ, ნინო ჩაჩუა (ჯილდაძ. თითოეული სახე ზედმიწევნით და ფაქიზად არის გააზრებული მუსიკალურადაც და სცენურადაც. არ შეიძლება არ ითქვას ფინალის სრულიად ახალ სცენურ გააზრებაზე.

მუსიკალური თვალსაზრისით გოგი ჭიჭინაძე ოსტატურად წარმართავს, მთლიანად იმორჩილებს ორკესტრს, გუნდს, შემსრულებლებს, და მაღალ პროფესიულ დონეს აღწევს, თუმცა შემსრულებლები აღნიშნავენ დირიჟორისა და რეჟისორის ერთგვარ დემოკრატიულობას, თავისუფლებას.

უფროსი თაობის მსმენელს ჯერაც კარგად ახსოვს პეტრე ამირანაშვილის მიერ ვოკალური თუ არტისტული ტემპერამენტით უზადოდ განსახიერებული მასხარა – რიგოლეტო და იგი ერთგვარ ბარომეტრად იქცა. თუმცა სულხან გველესიანი თავისი საოცრად ლამაზი და ემოციური ხმით ზედმიწევნით ცდილობს თავის შტრიხები შემატოს ამ უაღრესად რთულ სახეს. მსმენელს მოეწონა იგი და მხურვალე ტაშით არაერთხელ დააჯილდოვა.

გიორგი მახარაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ჰერცოგის პარტია, ალბათ, ჯერჯერობით ყველაზე საინტერესო სახეა. იგი ვოკალურად გამართულ სახეს ქმნის. მომღერლებს კარგი პარტნიორობა გაუწია ახალგაზრდა ნინო ჩაჩუამ (ჯილდაძ, რომლის მონაცემები და სიმღერის კეთილშობილური მანერა იმის საფუძველს იძლევა, რომ იგი მომავალში კიდევ უფრო სრულყოფს ამ სახეს. ჯილდას პარტია შეასრულა გამოცდილმა ვოკალისტმა ლიანა კალმახელიძემაც, რომელსაც ლამის 30 წელია გათავისებული აქვს ეს სახე, თუმცა როგორც თავად ამბობს, ახალ დამდგმელებთან მუშაობა ძალზე საინტერესო იყო მისთვის, რამაც ახალ სიღრმეებში წვდომის საშუალება მისცა.

სპექტაკლის შესახებ თავის აზრი გაგვიზიარა თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა **ელიშერ რუსიშვილმა:** სპექტაკლმა ჩემზე კარგიშთაბეჭდილება დასტოვა, ახალი დადგმით დიდი სიამოვნება მივიღე, განსაკუთრებით კარგად ჟღერდა ორკესტრი, მომეწონა სულხან გველესიანის რიგოლეტო.

სპექტაკლზე თავის სიტყვას იტყვიან სპეციალისტები. ჩვენ კი იმის თქმა შეგვიძლია კიდევ, რომ სპექტაკლმა ხელი შეუწყო საოპერო დასის საუკეთესო თვისებების, შემოქმედებითი პოტენციის და ასევე იმ ენთუზიაზმის წარმოჩენას, რომლითაც გამსჭვალული იყო მისი თითოეული მონაწილე.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

№ 115. ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

◎ ინფორმაცია

### სემეკი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიად გარდაიქმნება

**სასმელი წყლის მიწოდების ტარიფს, საკრებულოს ნაცვლად, სემეკი დაადგენს.**

**ამის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა პრეზიდენტს ეკუთვნის და ის პარლამენტში უკვე შევიდა.**

**კანონპროექტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიად გარდაიქმნება.**

**აღნიშნული კომისიის ფუნქციებს კი, კანონპროექტის მიხედვით, სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფის დადგენა დაემატება.**

**კანოპნპროექტის განხილვას პრეზიდენტი დაჩქარებული წესით მოითხოვს.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ საქართველოს სახელმწიფოებრიობის სათავეებთან

## არქეოლოგიური აღმოჩენები დედოფლისწყაროში

**ჩვენი რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მომავალში კახეთის ზონის არქეოლოგიური ცენტრის სტატუსით გააგრძელებს ფუნქციონირებას. ამის საფუძველს ტახტიფერდას, შირაქის და ივრის ზეგანის გათხრები იძლევა.**

ამ რამდენიმე დღის წინათ რაიონს უამრავი სტუმარი ჰყავდა. ჰუმბოლტის საზოგადოების ეგიდით შავი ზღვის აუზის პრეისტორიული არქიტექტურის საკითხებზე მიმდინარე სიმპოზიუმის დასკვნითი ტური დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო.

სპეციალურად ამ მნიშვნელოვანი დღისთვის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობაში ჩატარდა საექსპოზიციო და საკონფერენციო დარბაზების სარემონტო სამუშაოები, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 3000 ლარი გაიხარჯა.

საექსპოზიციო დარბაზში გამოფენილი არქეოლოგიური ძეგლების დათვალიერების შემდეგ სტუმრებმა საკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „სახელმწიფოებრიობის სათავეებთან კავკასიაში“. დედოფლისწყაროში ჩამოსულ 30-მდე ქვეყნის უცხოურ დელეგაციას მეგზურობას უწევდნენ ჰუმბოლტის საზოგადოების კავკასიის რეგიონის განყოფილების გენერალური მდივანი ჯონი აფაქიძე, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ინგო მოცემბეკერი, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში გია ნაცვლიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ლეკიშვილი და თავად მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები.



პროფესორმა კიაზო ფიცხელაურმა, რომელმაც სტუმრებს, ამ რამდენიმე დღის წინათ სატელიტით გადაღებული უახლესი ფოტომასალა წარუდგინა. კონფერენციის მონაწილეებმა პირველებმა ნახეს უნიკალური ფოტომასალა, რომელზეც მკაფიოდ ჩანს იმ ქალაქების ნაშთები, რომლებსაც აქვთ მძლავრი ციტადელი და დამოუკიდებელი გალავანი, ასეთივე მძლავრი კონფიგურაციით. ნაზარლების და დათვის გორას ტერიტორიაზე ყოველ ორ კილომეტრში ჩნდება ახალ-ახალი ნაქალაქარები. ისინი ხეთური კულტურის ქალაქების მსგავსად, რელიეფის შესაბამისად არის განლაგებული. აქვე, აღმოჩენილია ტაძრების ნაშთებიც. ამ აღმოჩენებით ირკვევა, რომ მეორე ათასწლეულის შუა პერიოდი, რომელსაც აქამდე დეგრადირების პერიოდად მიიჩნევდნენ, პირიქით, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი პერიოდი ყოფილა. სწორედ ამ დროს დაწყებულა ქალაქების ჩამოყალიბება, რომლებიც თავიანთი საზოგადოებრივი განვითარების დონით თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, უპირისპირდებოდნენ ურარტუს ცივილიზაციას. გათხრებიდან სამეცნიერო სამუშაოები მუზეუმშიც გადმოინაცვლებს და მკვლევარ-არქეოლოგებს ბევრი განმარტებისა და დასკვნის საშუალებას მისცემს.

**ანა ბენაშვილი,**
**დედოფლისწყარო**

# სხვადასხვა

**● დღეს, როდესაც თითქმის მივიწყებულია შიო მღვიმელის, გივი ჭიჭინაძის, რეზო ინანიშვილის და სხვა მწერლების სახელები, სამაგიეროდ კი ბავშვებს სულიერებისგან გამოფიტულ ტექსტებს ახვევენ თავს, საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის მისია კეთილშობილური და საშვილიშვილოა**



## ◎ მადლობა ღმერთს, გვახსოვს

# დავივიწყეთ შიო მღვიმელი, გივი ჭიჭინაძე, რეზო ინანიშვილი?..

**ორი ლამაზი საღამო მარტყოფსა და ქუთაისში**

**ჯერ წელიწადიც არ გასულა, ახალგაზრდა მწერლებმა ირმა მალაციძემ და მარიამ წიკლაურმა „საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი“ რომ დააარსეს.**

ფონდის მიზანი ქართველი ავტორის ნაწარმოებთა პოპულარიზება საზოგადოებისა და გარემოს, ზოგადად, წიგნის მიმართ ყურადღების გააქტიურებაა. ფონდმა, შექმნისთანავე, დააარსა ქართული საბავშვო წიგნის დღე და ეს თარიღი – 27 ოქტომბერი – დიდი პედაგოგისა და მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს დაუკავშირა. მას მერე ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება.

ფონდმა, სახალხო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, „საბავშვო ლიტერატურის ალმანახი“ გამოსცა (რედაქტორი მარიამ წიკლაური). ჟურნალის ფურცლებზე წარმოდგენილია საყმაწვილო ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრი, დრამატურგიის ჩათვლით, ახალი თარგმანები, საბავშვო მუსიკა, ფოლკლორული მასალები.

ფონდისა და სახალხო ბანკის ერთობლივი ძალისხმევით, სახალხო ბანკის ოფისებში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაიმართა აქცია „წიგნიერი და განათლებული ახალგაზრდობა მშვიდობიანი თანაცხოვრების საწინდარია“, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა წიგნები და კონფლიქტური რეგიონების სკოლებსა და მოსახლეობას გადაეცა.

ფონდი თანამშრომლობს საპატრიარქოს რადიო „ივერიასთან“ და აგერ უკვე რამდენიმე თვეა მწერალი მარიამ წიკლაური უძღვება გადაცემათა ციკლს „საუბრები საბავშვო ლიტერატურაზე“. გადაცემა მსმენელის დიდი მოწონებით სარგებლობს. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც რამდენიმე გადაცემა: „შიო-მღვიმელი“, „გივი ჭიჭინაძე“, „რეზო ინანიშვილი“, „დოდო ხიმშიაშვილი“, „ქეთევან ჭილაშვილი“, „მზია ჩხეტიანი“, „ნინო ბეზარაშვილი“, „ზაზა აბზიანიძე“, „ახალგაზრდა მწერლები“, „საავტორო უფლებები და საგამომცემლო პრობლემატიკა“, „ქართული ტრადიციების სახლი“ და სხვა და სხვა, რომ მცირე წარმოდგენა შეგექმნათ ამ გადაცემაზე.

ფონდი ცდილობს საბავშვო მწერლობის მიმართ ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღების გამახვილებას და მისასალმებელია, რომ უკვე რამდენიმე წერილი და რეცენზია დაიწერა პროფესიონალთა მიერ (ნინო ჩხიკვიშვილი, ლამარა კიკილაშვილი და სხვებიძ. შესაძლებელია გამოსაცემად მომზადდეს წიგნი „ქართული საბავშვო მწერლობა – ტრადიციები, მომავალი“, რომელიც შეაჯამებს ფონდის საქმიანობას თანამედროვე მწერლისა და ქართული საბავშვო წიგნის პოპულარიზების საქმეში.

ფონდის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ თბილისით. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ ფონდისა და მარტყოფის №1 საჯარო სკოლის ერთობლივი ინიციატივით, სკოლამ უმასპინძლა მარტყოფის ძველ მკვიდრსა და პედაგოგს, ამჟამად თბილისში მცხოვრებ ქალბატონს, მწერალ ქეთევან ჭილაშვილს და 85 წლის იუბილე მიულოცა მას. შესაშური გულისხმიერება გამოიჩინა №1 სკოლის მთელმა კოლექტივმა (დირექტორი ქეთევან ჩინაშვილიძ და IV კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი მარინა შერმადინიძ.

მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ ალმანახის ნომრები და უამრავი კითხვაც დაუსვეს მწერლებს: ქეთევან ჭილაშვილს, ირმა მალაციძეს, მარიამ წიკლაურს. ასეთი სასარგებლო ვიზიტი გაგრძელდა თბილისის საჯარო სკოლა „ცისკარში“. პედაგოგმა ქეთევან გიორგობიანმა III კლასის მოსწავლეებთან ერთად წარმოადგინა ქართველ საბავშვო მწერალთა (ნინო ბეზარაშვილი, ქეთევან ჭილაშვილი, დოდო ხიმშიაშვილი, მანანა ჯოხარიძე, ნუნუ კერესელიძე, მზია ჩხეტიანი, თამარ გაბროშვილი, მარიამ წიკლაურის და სხვათაძ ნაწარმოებები.

ფონდი, ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურთან ერთად, მონაწილეობდა ქუთაისში გამართულ საზეიმო ღონისძიებაში და შეხვდა, როგორც ქუთაისელ ბავშვებს, აგრეთვე ქუთაისში მცხოვრებ მწერლებს – გია თავაძეს, ცირა შალაშვილს, ჯანიკო გაბუნიას, ნუნუ დარსაველიძეს, მხატვრებს, პედაგოგებს, ჟურნალისტებს. ეს შეხვედრა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა, დაისახა სამომავლო გეგმები და აღინიშნა, რომ „საბავშვო ლიტერატურის ალმანახი“ მალე ქუთაისელ ბავშვთა და მოსწავლეთა მეგობრად იქცევა. ქუთაისელებმა გადაწყვიტეს 27 ოქტომბერს – ქართული საბავშვო წიგნის დღე საკუთარ ქალაქშიც აღნიშნონ.

დღეს, როდესაც თითქმის მივიწყებულია შიო მღვიმელის, გივი ჭიჭინაძის, რეზო ინანიშვილის და სხვა მწერლების სახელები, სამაგიეროდ კი ბავშვებს სულიერებისგან გამოფიტულ ტექსტებს ახვევენ თავს, საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის მისია კეთილშობილური და საშვილიშვილოა.

**თამარ შაიშმელაშვილი**



## ◎ მილოცვა

*ცნობილ ქირურგს, დოქტორს, პროფესორს, ჩვენს მეგობარს გია აზმაიფარაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს!*

*50 წელი ცხოვრების შუადღეა, სიკეთით სავსე კაცო. ადამიანებს ჯანმრთელობას, რომ დაუბრუნებ, დაღლილი და გახარებული მეორე ცხოვრებას იწყებ – ამჯერად, ფეხბურთის მოედნებზე, საცურაო აუზში ვარჯიშსა და ასპარეზობას. ტურისტული ლაშქრობებით საქართველოს მთაბარი შემოვლილი გაქვს, სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ხშირი სტუმარიც ბრძანდები და, რაც მთავარია, ქართული მადლიანი სუფრის ბატონ-პატრონიც...*

*გაღლეგრძელებთ, ჩვენო ძმაო! შენი სითბო-სიყვარული, შენი ხალასი იუმორი, შენი სიმღერა და შენი სიტყვა კიდევ დიდხანს იყოს ჩვენი მეგზური. შენს უსაყვარლეს ოჯახთან ერთად, ნახევარი ცხოვრება კიდევ გასავლელი გაქვს, კაცური კაცო.*

*გაგიმარჯოს!*

*აუზში, საუნაში და სუფრაზე შენთან ერთად „ოფლდაღვრილი, გაკაჟებული“ და თანამეინახე მეგობრები*

***ზურაბ გამეზარდაშვილი, ლერი გოგოლაძე, ბექა იორდანიშვილი, ნოდარ კაკაბაძე, ოთარ მიმინოშვილი, ნოდარ ჭკადუა.***

## ◎ ინფორმაცია

### მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს

**თბილისში, მერვე ლეგიონის დასახლებაში დაკავებული ორი პირის უსუპიანის და შამოიანის ახლობლები მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ.**

ისინი აცხადებენ, რომ შამოიანი და უსუპიანი პოლიციამ შეცდომით, უკანონოდ დააკავა და მათ არაფერში მიუძღვით ბრალი.

სამართალდამცავთა ინფორმაციით კი, ორივე უშიშროების სამსახურის თანამშრომლის გიგი კანდელაკის მკვლელობაში არის ეჭვმიტანილი.

უსუპიანი და შამოიანი პოლიციამ საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დააკავა.

### ვირთხების ბუდეებად ქცეულ საავადმყოფოებს ლიცენზიები ჩამოერთმევათ

**საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ ლიცენზიები ჩამოერთმევა იმ საავადმყოფოებს, რომლებიც „ნაგავსაყრელად და ვირთხების ბუდედ არის გადაქცეული“.**

მინისტრის განცხადებით, ლიცენზიების ჩამორთმევის კანდიდატი კლინიკები მას შემდეგ გაირკვევა, რაც სამედიცინო დაწესებულებების შემოწმება ჩატარდება.

შემოწმება კი, მისივე თქმით, უახლოეს დღეებში დაიწყება.

ამასთან, მინისტრმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია პოლიკლინიკების შესაძლო დახურვის შესახებ.

**ინტერპრესნიუსი**

**სს „საქგაზმშენი“ აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული სამშენებლო ტექნიკის 20.1 ტ. ჯართის რეალიზაციის მიზნით. ერთი ტონის საწყისი ფასი 130 ლარი, მყიდველის დამზადებით (დაჭრა, დატვირთვითძ და ტრანსპორტირებით.**

ჯართის ადგილმდებარეობა ახალქალაქის რაიონი სოფ. ქოთელია – 10 ტონა, ახმეტის რაიონი – 3.7 ტონა, ხაშურის რაიონი – 2.7 ტონა და ადგილზე – 3.7 ტონა.

**გამყიდველის მისამართი:**
**ქ. თბილისი, ჯორჯესის ქ. №13.**
**ტელ. 70-66-30.**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს. განცხადებები აუქციონში მონაწილეობაზე მიიღება 2007 წლის 19 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 6 ივლისს დღის 12 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველები საუქციონო კომისიას წარუდგენენ:

1. განაცხადს აუქციონში მონაწილეობაზე, სადაც მითითებული იქნება სურვილი ჯართის შეძენის თაობაზე.

2. „ბე“-ს შეტანის ქვითარს, „ბე“-ს სიდიდე შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 10 პროცენტს და შეტანილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: „გაერთიანებული ქართული ბანკი“, ცენტრალური ფილიალი ა/ა №16467466, საიდენტიფიკაციო კოდი 208141312.

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემებს.

4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს.

აუქციონის „ბიჯი“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5 პროცენტს.

აუქციონში გამარჯვებულის კრიტერიუმია მაქსიმალური ღირებულების გადახდა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**სს „საქგაზმშენის“ დირექცია**

**თენგიზ, ქეთინო, ქეთი, მანანა ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ სანდრო, ნატო, მარინა მაჩაბლებს მამის**
**ოთარ ალექსანდრეს ძე მაჩაბლის**
**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს მწერალთა კავშირი თანაუგრძნობს მწერალთა კავშირის თანამშრომელს ქალბატონ მანანა გორგიშვილს მეუღლის**
**თამაზ გიორგის ძე ჩეჩელაშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

## განცხადება

**გაცნობებთ, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის „თაბუკაშვილი 88“-ის წევრთა განმეორებითი მოთხოვნის, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, ახალი საერთო კრება მოწვეულია დაუყოვნებლივ და ჩატარდება 26.06.07 18 სთ-ზე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის №60-ში.**

**საინიციატივო ჯგუფი**

**რეკლამა**
*„საქართველოს რესპუბლიკაში“* 98-96-32; 899 328576

№ 115. ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2007 წელი.

● სამ წელიწადს იკვლევდნენ ანტარქტიდაში უედელის ყინულოვანი ზღვის ფსკერს და ცხოველების 700-ზე მეტ ახალ სახეობას მიაკვლიეს



## ◉ სულიერება

# წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი (კველთელი)

**21 ივნისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს თევდორე მღვდელს, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. 1609 წელს ოსმალეთი ახალციხიდან შემოესია საქართველოს. ახალგაზრდა მეფე წმიდა ლუარსაბ მეორე მცირე ამალით ამ დროს თავის საზაფხულო რეზიდენციაში, – ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა.**



...ცნობილია, რომ ოსმალებმა სწრაფად გადმოლახეს თრიალეთი და მოულოდნელად მოადგნენ მანგლისს. მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესია დარბევას სასწაულებრივად გადაურჩა. წმიდა ლუარსაბმა ამის შესახებ არაფერი არ იცოდა, მტერს კი ცხირეთამდე სულ ხუთიოდე საათის სავალი რჩებოდა. მანგლისიდან მეფის საზაფხულო რეზიდენციამდე რამდენიმე გზა მიდიოდა. ოსმალებს ვერ გადაეწყვიტათ, რომელ გზას დასდგომოდნენ.

მანგლისის ახლოს, სოფელ კველთაში თათრებმა შეიპყრეს ქართველი მღვდელი: „კველთას შეიპყრეს მღვდელი ერთი, სახელად თევდორე, პატიოსანი და მოშიში ღვთისა და ერთგული მეფისა თვისასა“. მღვდელი თურმე ეკლესიას კეტავდა, სხვებთან ერთად ტყეში გაქცევა ვერ მოასწრო, რადგან ეკლესიის განძეულობა გადამალა ხელყოფისაგან. მამა თევდორეს ოსმალებმა მეგზურობის გაწევა შესთავაზეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას წამებით სიკვდილი ელოდა. „ხოლო მან ნეტარმან ხუცესმან, აღირჩია სიკვდილი, ვიდრე განცემა მეფისა და გაწირვა საქრთველოისა“. მღვდელმა ლაშქარი გზას ააცდინა და ცხირეთს დააშორა.

...ოსმალები მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ, შეიპყრეს მღვდელი და თავი მოჰკვეთეს.

მღვდლის თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. წმიდა მეფე ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო, შემდეგ კი ქართველებმა ადვილად დაამარცხეს მოთარეშენი.

**გიული ლიპარტია**

## ◉ მეცნიერება

# ყინულქვეშელები პოლუსიდან

## ანტარქტიდაში ცხოველთა 700-ზე მეტი ახალ სახეებს მიაგნეს

**პროექტ ANDEEP-ის მონაწილენი სამ წელიწადს იკვლევდნენ ანტარქტიდაში უედელის ყინულოვანი ზღვის ფსკერს და ცხოველების 700-ზე მეტ ახალ სახეობას მიაკვლიეს.**

ამასთან ზოგიერთის მისაგნებად ექვს კილომეტრამდე სიღრმეზე ჩაყვინთა მოუწიათ. მაგალითისთვის, ზღვის ფსკერზე ბიოლოგებმა იპოვეს იზოპოდების 674 სხვადასხვა სახეობა – იმ ტოლფეხებიანი კიბორჩხალებისა, რომლებიც ადრე არც ერთ სწავლულს არ უნახავს. დაიჭირეს, აგრეთვე უნიკალური შელფის თევზები, რომელთა სისხლი არ შეიცავს წითელ ბურთულებს.



– ჩვენს პროექტამდე ამ რაიონებში მეცნიერულ ჭერას არავინ არ ეწეოდა, ამიტომ მკვლევარებმა არც იცოდნენ, თუ ვის შეეძლო ასეთ ცივ სიღრმეებში ცხოვრება, – ამბობს ბიოლოგი ანგელიკა ბრანდტი ჰამბურგის უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტიდან. – სამაგიეროდ ახლა, როცა შევადარებთ სახეობებს სიღრმეებიდან და სანაპიროს წყლებიდან, ჩვენ შევძლებთ გარკვევას, თუ როგორ ახდენს გავლენას გარემო ზღვის სახეობათა ევოლუციაზე.

ევოლუცია კი ამასობაში სრული სვლის მიდის. ყინულქვეშ 5 ათასი წლის მანძილზე მყოფი ამ იშვიათი ზღვის ბიოსისტემა ამჟამად სწრაფ ნგრევას იწყებს. გლობალური დათბობის ზეგავლენით სამხრეთ პოლუსზე მიმდინარეობს ეგრეთ წოდებული გადაკოლონიზება – ერთ სახეობათა კვდომა და სხვათა ჩასახლება. ამგვარად, უკვე რამდენიმე წელიწადში მეცნიერები კვლავ წააწყდებიან ცხოველთა ახალ სახეობებს.

**რუსული პრესის მიხედვით**

## ◉ დაზუსტება

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2007 წლის 8 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა განცხადება შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ ქონების აუქციონის ფორმით გაყიდვის შესახებ. განცხადებაში, ტელეფონის ნომერი შეცდომით არის მითითებული, ნაცვლად 8(271d 2-40-5, უნდა იკითხებოდეს 8(271d 2-40-56.**

## ◉ ინფორმაცია

### დაბადების დღეზე ერთმანეთს დაერივნენ

ერთდროულად ექვსი დაჭრილი ახალგაზრდა მოათავსეს გუშინწინ გვიან ღამით თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში. ერთი წუხელვე გარდაიცვალა. როგორც ითქვა მათი ასაკი 25 წელს არ აღემატება. კლინიკაში ისინი დანით მიყენებული ჭრილობებით ერთ-ერთი კაფე-ბარიდან მიიყვანეს.

ისინი კაფეში მეგობრის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ და ჩხუბის დროს ერთმანეთს დანით ჭრილობები მიაყენეს.

ექიმების განცხადებით, საავადმყოფოში მიყვანის დროს ყველა მათგანის მდგომარეობა რთული იყო. ერთი გარდაიცვალა, ხოლო შოკურ მდგომარეობაში მყოფ ირაკლი ჯღარკავას გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ლარის კურსი

21 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3273 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6735 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2478 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0645 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9546 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4847 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3218 ლარი. |

## ◉ ანეკდოტები

– გამარჯობა, მიხო! ასე ერთიანად სად გაშავდი?

– ნუდისტურ პლაჟზე.

– თვალებს გარშემო თეთრი წრეები რატომ გეტყობა?

– დურბინდისგან დამრჩა!

* * *

– კრედიტი თქვენზეა გაფორმებული?

– არა, მაცივარზე.



* * *

განცხადება: ვიყიდი „ხმელეთ-ხმელეთის“ ტიპის რაკეტას და ზოგიერთი „რეალითი შოუს“ ჩატარების ადგილის ზუსტ კოორდინატებს.

* * *

მამაკაცები იყოფიან ცხვრებად და ვირებად.

ცხვრები არიან ის მამაკაცები, რომლებიც ცუდად ერკვევიან ქალთა ფსიქოლოგიაში.

ვირები კი ისინი, რომლებიც ძალიან კარგად ერკვევიან.

* * *

სინამდვილეში კი აი როგორ იყო:

გადააგდო მოხუცმა ზღვაში თავისი წინდები, გაშავდა ზღვა და შეეხვეწა მოხუცს ოქროს თევზი...

## ◉ კადრი



თედო ნიკოლაიშვილის ფოტო

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.